კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბექა ფეროიანი

ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაზე

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ემირ ეთერია, ეკონომიკის დოქტორი

თბილისი - 2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაზე. ტრანსნაციონალური კორპორაციები უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაში და აგრეთვე გარდამავალი ქვეყნების ეკონონომიკაშიც. გლობალიზაციის პროცესმა გაზარდა კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების წილი გარდამავალი ქვეყნების ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობებიდან გასულია 25 წელი, ტრანსფორმაციული პროცესების დასრულების საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება. ნაშრომში განხილულია ტრანსნაციონალური კორპორაციების არსი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მათი სტრატეგიები. ასევე გარდამავალი ქვეყნების კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და მასში არსებული ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა.

ნაშრომში ასევე დაწვრილებით განვიხილეთ ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაზე. აქ მოყვანილი გვაქვს საქართველოს მაგალითი და ჩატარებული გვაქვს კვლევა, თუ რა როლს თამაშობს ტრანსნაციონალური კორპორაციები საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში და რა გავლენას ახდენს უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკაზე. ნაშრომის დასასრულს ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა.

Anotation

The topic of the master's thesis is the impact of transnational corporations on the economies of transition countries. Transnational corporations have played an important role for the long time in the world economy as a whole, as well as in the economies of transition countries. The process of globalization has not only increased the role of corporations in the world economy and politics, and has made them one of the main actors in international relations, but has also significantly changed its structure and content.

The share of transnational corporations in the markets of transition countries as well as in their economies is quite large. Although 25 years have passed since market relations in these countries, the issue of completing transformational processes remains open.

The study discusses the essence of transnational corporations, key areas of activity and their strategies. As well as the economic reforms of the transition countries, in particular Eastern Europe and the Baltic States, and the activities of the transnational corporations in it.

The thesis also discusses in detail the role of transnational corporations and foreign investment in the economies of transition countries. Here is an example of Georgia and we have conducted a study on the role of these transnational corporations in strengthening the Georgian economy and the impact of foreign investment on the country's economy. Based on the analysis, the conclusion is made.

შინაარსი

შესავალი 5

თავი 1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების თავისებურებები

1.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების არსი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები…….....…….....9

1.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიები…….....16

თავი 2. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში რეფორმების თავისებურებები

2.1. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რეფორმების თავისებურებები და ტრანსნაციონალური კორპორაციები…….....23

2.2. ბალტიის ქვეყნების ეკონომიკური რეფორმები და ტრანსნაციონალური კორპორაციები…….....32

თავი 3. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების თავისებურებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

3.1. უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში…….....40

3.2. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის დინამიკა და მიმართულებები ……...….47

დასკვნა ……..... 54

გამოყენებული ლიტერატურა…….....….62

შესავალი

თემის აქტუალობა: თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი, რისი მონაწილეებიც სახელმწიფოების გარდა სხვადასხვა სახის კომპანიები. თუ დღესდღეისობით 200 მდე ქვეყანა არსებობს, მათ გვერდით სწორედაც, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციებიც ფუნქციონირებს. მათ ხშირად განიხილავენ გლობალიზაციის პროცესების შედეგად წარმოქმნილ სუბიექტებს, მაგრამ საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ ისინი გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ და აერთიანებენ მსოფლიო და რეგიონალურ ბაზრებს.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე. ისინი ხელს უწყობენ სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის გაზრდას, ახდენენ მსოფლიო წარმოების განვითარების სტიმულირებას, ასევე ცდილობენ საერთაშორისო საზღვრების გაფართოებას და ა.შ.

ტნკ-ბის სტრატეგიები საკმაოდ მკაფიო და სწორად დაგეგმილია. ისინი ხელს უწყობენ სამეცნიერო ტექნოლოგიური პროგრესის წინსვლას და საერთაშორისო თანამშრომლობის საზღვრების გაფართოებას უწყობენ ხელს.

XX საუკუნის ბოლოდან სწრაფად დაიწყო ზრდა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა და ზოგადად მათმა გავლენამ მსოფლიოზე. ეს განსაკუთრებით შეეხო „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს. „მესამე სამყაროში“ მოიაზრდება განვითარებადი ქვეყნები, რადგან ისინი ეკონომიკურად დამოუკიდებელნი ვერ იყვნენ და მასობივი სიღარიბის ზღვარს უახლოვდებოდნენ.

მართალია ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს უარყოფითი გავლენა აქვს სახელმწიფოების ეკონომიკაზე, რადგან მათ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა აინტერესებთ და არა ღარიბი ხალხის ბედი, მაგრამ

მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე მსოფლიოში ტნკ-ბის საკმაოდ დადებითი ტენდენციები არსებობს.

ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ რამდენად კონკურენტუნარიანები არიან ტნკ-ები და რამდენად სწორად მართავენ ისინი პროცესებს. ეს საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს კორპორაციებისთვის, რადგან ისინი რთულ მრავალდარგობრივ სტრუქტურებს წარმოადგენენ, რადგან მათი ოპერირება ასობით სხვადასხვა სასაქონლო გეოგრაფიულ ბაზრებზე ხდება და შესაბამისად მთავარ და შვილობილ კომპანიას შორის ურთიერთობების ანალიზი დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ხშირ შემთხვევაში ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს.

საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სამეურნეო სუბიექტების კონკურენციის გაზრდაა, შესაბამისად მსოფლიოს წაყვანი კორპორაციების გამოცდილება ამ საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის. ტრანსნაციონალური კორპორაციების მუშაობა ჩვენს ქვეყანაში ხშირად უსწრებს ადგილობრივ კომპანიებს, იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივ საწარმოებს უფრო მეტი უპირატესობა აქვს ბაზარზე, იქნება ეს ბაზრის ცოდნა და მასზე მუშაობის გამოცდილება თუ სხვა დეტალები.

სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი თემის აქტუალობა, გავარკვიოთ თუ რა მიზნები აქვთ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაში და რა ადგილი აქვთ „უცხოურ ინვესტიციებს“ ამავე ქვეყნების ბაზარზე ადგილობრივი კორპორაციების გვერდით საქართველოს მაგალითზე.

კვლევის მიზანები და ამოცანები: კვლევის მიზანია ტრანსნაციონალური კორპორაციების თავისებურებების წარმოჩენა გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაში.

საკვლევი თემიდან გამომდინარე დასახულ ამოცანებში სხვადასხვა ენაზე არსებული მასალების შესწავლისა და გაანალიზების მეშვეობით ავსახეთ ტრანსნაციონალური კორპორაციების თავისებურებები. შევეცადეთ გამოგვეტანა

მართებული დასკვნები, თუ რა თავისებურებებით ფუნქციონირებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაში.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა (დადებითი და უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე).

კვლევის ობიექტია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, კერძოდ ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკაზე.

კვლევის ობიექტია საქართველოში არსებული კომპანიები, კერძოდ: „Coca Cola Bottlers Georgia“ „McDonald's Georgia“ და „Toyota Caucasus LLC".

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები: აღნიშნულ ნაშრომში გამოვიყენეთ უცხოელი და ქართველი მეცნიერების ნაშრომები ტრანსნაციონალური კომპანიების შესახებ, მათი საქმიანობის თავისებურებებისა და სტრუქტურის განსახილველად. ასევე სხვადასხვა ანალიტიკური მასალები, რომლებიც დაგვეხმარა ნაშრომის სწორად ჩამოყალიბებაში და საშუალება მოგვცა ძირეულად შეგვესწავლა თემის ირგვლივ არსებული თეორიული ბაზა.

კვლევის მეთოდები: კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მისი დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძნება თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. ასევე, ეკონომიკურ სტატისტიკური მეთოდებს. არსებული მასალის განხილვამ, ანალიზმა და დასკვნების გამოტანამ ჩვენი აზრით, გააუმჯობესა ნაშრომის ხარისხი და მოგვცა შედეგზე ორიენტირების უფრო მეტი შესაძლებლობა. თემის დამუშავებისას აგრეთვე გმოვიყენეთ ემპირიული კვლევის ერთ-ერთი იარაღი-ლოგიკა, კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი ანუ მასობრივი გამოკითხვის, ასევე ანალიზისა და სინთეზის მეთოდი.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კომპიუტერზე ნაბეჭდ გვერდზე. შედგება შესავლის, სამი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან.

თავი 1. ტრანსნაციონალური კომპანიების ფუნქციონირების თავისებურებები

1.1. ტრანსნაციონალური კომპანიების არსი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ტენდენციები ბიზნესს აიძულებს განახორციელოს საერთაშორისო ოპერაციები, რათა გადარჩეს და მიაღწიოს წარმატებას.

საერთაშორისო ბიზნესი იწყება ქვეყნებს შორის საქონლის გაცვლით. მისი განვითარების მომდევნო საფეხურია საპორტფელო ინვესტიციები. მესამე საფეხურს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საერთაშორისო ბიზნესი თავისი განვითარების პიკს აღწევს საერთაშორისო კორპორაციები, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ბიზნესის სამივე ფორმას. პრაქტიკაში განასხვავებენ ორი ძირითადი ტიპის საერთაშორისო კორპორაციას: მრავალეროვნული კორპორაციები (Multinational Corporacons) და ტრანსნაციონალური კორპორაციები (Transnational Corporations).

ტრანსნაციონალური კომპანია ესაა სამეწარმეო ფირმა, რომელიც თავის იურისდიქციას ახორციელებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვა სახელმწიფოებში. მისი საქმიანობის ხვედრითი წილი რეალიზაციის საერთო მოცულობაში 50 პროცენტს საკმაოდ აღემატება. ამ კორპორაციებში მოიაზრება საერთაშორისო ფირმები, თავისი სამეურნეო ქვედანაყოფებით ორ ან მეტ ქვეყანაში, რომლებსაც მართავენ ერთი ან რამდენიმე ცენტრიდან. ტნკ-ს შექმნა ყველაზე გავრცელებული ფორმაა დღევანდელობაში. უამრავი ცნობილი ტრანსნაიონალური კორპორაცია გვაქვს სახეზე, მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მანქანების ტრანსნაციონალური კორპორაციები, იაპონური ფირმა „ნისანი“ და „ჰონდა“, რომლებიც არამარტო იაპონიაში უშვებენ პროდუქციას, არამედ აშშ-ში, აღმოსავლეთ არაბულ ქვეყნებში და კორეაშიც. როდესაც კორპორაცია ამა თუ იმ ქვეყანაში ახორციელებს თავისი პროდუქციის წარმოებას და საქმიანობის გაფართოებას ის დიდ ყურადღებას აქცევს რეგიონის

დამახასიათებელ ფაქტორებს. მას უნდა აკმაყოფილებდეს ბაზრის პირობები, ასევე უნდა იყოს რეალური ხარჯები და კვალიფიკაციური კადრით აღჭურვილი საწარმო, ეკონომიკური და ფინანსური პირობების უმაღლესი დონე. ყურადღება ექცევა ასევე ქვეყნის პოლიტიკურ რისკებს და ზოგადად ქვეყნის სარისკო სიტუაციებს. [1]

უცხოური ფირმის შვილობილი კომპანია სახელმწიფოს მთავრობის მხარდაჭერის გარეშე დარჩება, თუ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ვერ მოახერხებს. შხირია ისეთი შემთხვევები, როდესაც შვილობილი კომპანია ადგილობრივ ოქალაქეთა დასაქმებას ვერ ახდენს და ხელმძღვანელთა პოსტებზეც არ ქირაობს ადგილობრივ მმართველებს. ეს ითვლება ეროვნული კანონებისა და შრომითი ტრადიციების უპატივისმცემლობად.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ასევე მიეკუთვნებიან კომპანიები, რომლებიც შექმნილი არიან ერთი ქვეყნის კაპიტალითა და მმართველობითი კონტროლით. ტრანსნაციონალური კორპორაციის მეთაური კომპანია განლაგებულია ბაზირების ქვეყანაში, ხოლო შვილობილი კომპანიები და ფილიალები-მთელს მსოფლიოში.

ტრანსნაციონალური კორპორაციები თანამედროვე პირობებში მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთ ძირითად სუბიექტებად იქცნენ. ისინი განსხვავდებიან ეროვნებათაშორისი კორპორაციებისგან, რომლებიც იქმნება სხვდასხვა ეროვნული წარმოშობის კაპიტალის შერწყმის შედეგად. კორპორაციების დამახასიათებელი ნიშანი მათი სამრეწველო მიმართულებაა.

ტრანსნაციონალური კორპორაციები თანამედროვე გლობალიზაციის გამოვლინებაა და ეკონომიკური გლობალიზაციის მოტივს წარმოადგენს. ზოგადად ამ სახელწოდების მრავალი განმარტება გვაქვს. XX საუკუნის 60-იან წლებში გაერო ტრანსნაციონალურ კორპორაციათა რიცხვს მიაკუთვნებდა ფირმებს, რომლების წლიური ბრუნვა უნდა ყოფილიყო 100 მილიონის მოცულობით და მათი ფილიალები

[1] ა.აბრალავა. „ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი გლობალიზაციის პროცესში“. ჟ. „ეკონომიკა“ თბილისი 2004 წ.

შვილობილი კოპანიების ჩათვლით ექვს ქვეყანაში მაინც უნდა ყოფილიყო. გაეროს ხედვით ასეთ კორპორაციებს მიეკუთვნება ისეთი მახასიათებლების მქონე კორპორაციები, რომლებიც მოიცავს საწარმოო რგოლებს არანაკლებ ორ ქვეყანაში. სადაც არის შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა და საწარმოო რგოლები ერთმანეთთან საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობენ.

ტნკ-ს აქვს შემდეგი ძირითადი მახასიათებელი ნიშნები:

- ✓ რეალიზაციის თავისებურებები: ფირმა თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაციას საზღვარგარეთ ახორციელებს, რითაც ძლიერ ზეგავლენას ახდენს მსოფლიოო ბაზარზე;
- ✓ წარმოების განლაგების თავისებურებები: საზღვარგარეთის ქვეყნებიში განთავსებულია ზოგიერთი მისი შვილობილი საწარმო და ფილიალი;
- ✓ საკუთრების უფლებათა თავისებურებები: ფირმის მესაკუთრენი სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტებს წარმოადგენენ.

საკმარისია ფირმის თუნდაც ერთი ზემოთჩამოთვლილი ნიშანი ახასიათებდეს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციის კატეგორიაში ხვდება ის. ზოგიერთ მსხვილ კომპანიას ერთდროულად სამივე მახასიათებელი ნიშანი აქვს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა პირველი ტრანსნაციონალური კორპორაციები, როდესაც უდიდესი მონოპოლიების მიერ საზღვარგარეთული საწარმოო ფილიალები იქმნებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XX ბოლოს კორპორაციებმა ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. [2]

ტერმინი „მრავალეროვნული კორპორაცია“ ფართოდ გამოიყენება აშშ-ს ლიტერატურაში, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა

[2] შ. შაბურიშვილი. „ტრანსნაციონალური კომპანიები და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი“. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. კონფერენციის კრებული. თბილისი 2016. გვ. 534-535

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვა, იყენებენ ტერმინს - „ტრანსნაციონალური კორპორაცია“. რაც შეეხება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს მოიხსენიებს მრავალეროვნულ საწარმოებად.

გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის სახელმძღვანელოს მიხედვით ტერმინი „ტრანსნაციონალური კორპორაცია“ მოიცავს საწარმოს, რომელიც ფლობს ჩვეულებრივი აქციების ან ხმიანი წილის 10 პროცენტს ან მეტს ერთ ან მეტ საწარმოში, რომელიც მდებარეობს იმ ქვეყანაში, რომლის რეზიდენტიც თვითონ არ არის.

ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა დააგროვეს ძალიან დიდი საორგანიზაციო განვითარების გამოცდილება. ტრანსნაციონალური კორპორაციები აღწევენ დიდ წარმატებას საზღვარგარეთული საწარმოების მმართველობაში, საერთაშორისო წარმოების ინტეგრაციისა და ლოკალური მმართველობის მოქნილობის შერწყმის საფუძველზე. ბაზრის განვითარება ტრანსნაციონალურ საფუძველზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მენეჯერების მმართველობის ხელოვნების ცოდნის დონეზე, რომლებსაც გააჩნიათ საკმარისი ცოდნა სწორად მართონ მსოფლიო მასშტაბის ინტეგრირებული საწარმოები. მსოფლიოში განასხვავებენ: მრავალეროვნულ, გლობალურ, საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. განვიხილოთ მათი ძირითადი დახასიათება.

მრავალეროვნული კომპანია- მრავალეროვნული კომპანიების მმართველობა განსაზღვრავს ფინანსურ პოლიტიკას, თუმცა ამავდროულად შვილობილ კომპანიებს აძლევს გარკვეულ ავტონომიას, ანუ თავისუფლებს აირჩიოს/განავითაროს საკუთარი

მმართველობის სტილი და მიიღოს გადაწყვეტილება ადგილობრივ საწარმოო და საბაზრო პრობლემების მოგვარებაში. [3]

გლობალური კომპანიები- გლობალური კომპანიები ახორციელებენ თავის სტრატეგიული, მმართველობითი და მარკეტინგული პოლიტიკის ცენტრალიზირებას. ვინაიდან კომპანია ახდენს მასშტაბზე ეკონომიას და მოქმედებს გლობალურ დონეზე ამის ხარჯზე ის იღებს გარკვეულ სარგებელს. გლობალური კომპანიები აწარმოებენ ისეთ პროდუქტს, რომელიც აკმაყოფილებს რიგი ქვეყნების მოთხოვნილებებს, რომლის დროსაც არ უგულებელყოფენ მოსახლეობის სპეციფიკურ მოთხოვნილებებს.

საერთაშორისო კომპანიები- კომპანიები ინარჩუნებენ კონტროლის მნიშვნელოვანი წილის უფლებას შვილობილ კომპანიებსა და მარკეტინგულ პოლიტიკაზე, თუმცა გლობალურ კომპანეიბეთან შედარებით ნაკლები რაოდენობით. ასეთი სახის კომპანიები აწარმოებენ ისეთი სახის პროდუქციას, რომელიც გათვლილია შიდა ბაზრისთვის, ახორციელებენ ამ პროდუქციის რეალიზებას მსგავსი საბაზრო მახასიათებლების მქონე ქვეყნებში, ხოლო შემდგომ ავრცელებენ/რეალიზებას ახდენენ ამ პროდუქციის მსოფლიო მასშტაბით. ასეთ კომპანიების გააჩნიათ პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის მმართველობის მოქნილობა.

ტრანსნაციონალური კორპორაციები- ასეთი კორპორაციები მრავალეროვნულ, გლობალურ და საერთაშორისო კომპანიების მახასიათებლებს აერთიანებს. ტნრასნაციონალური კორპორაციების წარმოებული საქონელი და მომსახურება არის მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანი, თუმცა ხშირად იცვლიან იერსახეს ადგილობრივი ბაზრების მოთხოვნების საფუძველზე. კომპანიები ახდენენ რესურსების ნაწილის ცენტრალიზირებას მთავარ მიმართულებაზე, რომელზეც იღებს ორიენტაციას

[3] „ეკონომიკის მომავალი: ტრანსნაციონალური კორპორაციების ძლიერი და სუსტი მხარეები. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების მახასიათებლები“. გვ. 1. https://sborkameb23.ru/ka/budushchee-ekonomiki-dostoinstva-i-nedostatki-transnacionalnyh.html (უკანაკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)

კომპანია და დანარჩენ რესურსებს ანაწილებს შვილობილ კომპანიებზე, ხოდო მათი ურთიერთქმედების საფუძველზე ხდება ინტეგრირება.

საწარმოო ტიპის მიხედვით ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორც წესი, წარმოადგენენ მრავალდარგობრივ ტრესტებს და კონცერნებს, რომლის სათავეს წარმოადგენს სათაო ოფისი (კომპანია). ფართო მასშტაბიანი სპეციალიზაციისა და კოოპერირების ბაზაზე კორპორაცია ახორციელებს ტექნიკურ-ეკონომიკურ პოლიტიკას და კონტროლს უწევს საზღვარგარეთ მყოფ თავის კომპანიებს და ფილიალებს.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მმართველობის საორგანიზაციო სტრუქტურები პირდაპირ დაკავშირებულია კომპანიისთვის დამახასიათებელ თვისებურებასთან. ერთი სახის ტრანსნაციონალური კორპორაციები, მიუხედავათ იმისა, რომ მფლობენ საზღვარგარეთ ფილიალების ფართო ქსელს, ასევე წარმომადგენლებს და შვილობილ კომპანიებს, მათ გააჩნიათ ბაზრების კონკრეტული ქვეყანა, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სათაო ოფისის იურიდიული რეგისტრაციის ქვეყანა. იმისგამო გამო, რომ კორპორაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს გააჩნია კომპანიის მთლიანი „პირამიდის“ და ფილიალების კონტროლის პრივილეგია, კორპორაციის სისტემა იღებს მკაცრად ცენტრალიზირებული მმართველობის ხასიათს.

ტნკ-ების მთავარი მიზანი გლობალურ ბაზარზე პოზიციების გაფართოება და საკუთარი მოგების მაქსიმალური ზრდაა. მათი საქმიანობა დამოკიდებულია იმ სფეროზე, რომელზეც იგი მოქმედებს. ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის არ არსებობს კონკრეტული სფერო, რომელშიც ის მუშაობს. მათი სტრუქტურა კი ამაში დიდ დახმარებას უწევს. კორპორაციებს შეუძლიათ დაფარონ მსოფლიო ბაზრის დიდი ნაწილი და ამით თავიანთი მოგება საგრძნობლად გაზარდონ.

ტნკ-ების სტრუქტურა და მისი გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას აძლევს მათ, ხარისხის დონე უფრო მაღალი ჰქონდეთ ბაზარზე, ვინდრე სხვა მცირე და სუსტ კომპანიებს. [4]

ფინანსურად ძლიერი ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთაც დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა აქვთ მასპინძელ სახელმწიფოებზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქაში.

ტრანსნაციონალურ კორპორაციას შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკაზე, მიიღოს ახალი ტექნოლოგიები და შექმნას სამუშაო ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ტრანსნაციონალური კორპორაციის მიმართ შრომის, გარემოსდაცვითი და სხვა სოციალური საკითხებისადმი პატივისცემა მათი კორპორაციული სტანდარტების ნაწილია, არსებობს გარკვეული შემთხვევები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, როდესაც ტრანსნაციონალური კორპორაციების პირდაპირი ან არაპირდაპირი საქმიანობა იწვევს ადამიანის უფლებების დარღვევას.

ზემოხსენებულ შემთხვევებში გამოსწორება მოქმედებს ეფექტურ იურიდიულ მექანიზმებში. ამასთან, ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო სამართალს ამ მხრივ აქვს ხარვეზები, ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმომადგენლებს არ აქვთ პირდაპირი ვალდებულება დაიცვან ადამიანის უფლებები და მათი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დარღვევაზე. ამასთან, ადგილობრივი იურიდიული მექანიზმები ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია და ყოველთვის სწორად არ ხორციელდება.

ამ ხარვეზების გამო, მრავალი სახელმძღვანელო, რეგულაცია და რეკომენდაცია იქნა გამოყენებული ტრანსნაციონალური კორპორაციების რეგულირების მიზნით.

---

[4] С. Ю. Зайцева. „Транснациональные корпораций как агенты глобализаций“. Санкт-Петербург. 2018г. стр. 22-24.

ამასთან, ეს ყველაფერი კანონის რბილი მექანიზმებია. ეს მექანიზმები მიმართავენ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს სახელმწიფოებთან ერთად; მათ არ აქვთ იურიდიულად სავალდებულო მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს მთავარი როლი ადამიანის უფლებების დაცვაში, ბევრ შემთხვევაში, სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება მიიღონ ტრანსნაციონალური კორპორაციების წინააღმდეგ ადამიანის უფლებების ეფექტური მექანიზმი და განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკა. სწორედ აქედან გამომდინარე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტრანსნაციონაური კორპორაციების მუშაობის კონტროლს ამ კუთხით და აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა რეკომენდაცია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას. [5]

1.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიები

ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიების ანალიზი ძირითადად გამომდინარეობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ე.წ „ეკლექტიკური პარადიგმისგან“. ამ პარადიგმის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კლასიფიცირდება ოთხ ტიპად, მისი ძირითადი ნაწილის მიხედვით: რესურსების ძებნა, ბაზრის ძებნა, ეფექტურობის ძებნა და სტრატეგიული აქტივი. ბაზრის მაძიებელი ინვესტიციები მიზნად ისახავს მასპინძელი ქვეყნის ბაზრის ათვისებას.

ზოგადად ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიები ემყარება გლობალურ მიდგომებს, რომლებიც არა რომელიმე ცალკეული რგოლის შედეგის, არამედ სრული გაერთიანების ითვალისწინებს ოპტიმატიზაციას. მათი კომპლექსური სტრატეგია

[5] ლ.ჯამაგიძე. „ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში“. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი 2008. გვ. 97-101.

გამოიხატება საერთაშორისო მართვის დეცენტრალიზაციაში და რეგიონულ მმართველობის სტრუქტურებს მნიშვნელოვნად ამაღლებს. ტნკ-ებს გააჩნიათ მართვის ბაზირების კონკრეტული ქვეყანა, საიდანაც ხდება მათი იურიდიული რეგისტრაცია და სხვადასხვა მითებების გაგზავნა შვილობილ კომპანიებში. ტნკ-ში ცდილობენ დანერგონ მართვის ახალი მეთოდები და მოახდინონ იმ ფუნქციების დელეგირება, რომელიც წინათ უმაღლეს დონეს განეკუთვნებოდა. [6]

როგორც გლობალიზაციის პროცესების ინტენსივობა იზრდება, ისე იზრდება მათი სირთულეც, ხდება ტნკ-ების განვითარების სტრატეგიების ევოლუცია. თანამედროვე პირობებში არსებული კორპორაციები გლობალურ სტრატეგიებს ასრულებენ. მათი ფუნქციონირების მახასიათებლები საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ზოგადად ფუნქციონირება ყოველთვის ისახავს მიზნად გარემოზე გაურკვევლობების წარმატებით მოგვარებას, ხარჯების შემცირებას და მაქსიმალური მოგების მიღებას.

ტრანსნაციონალური კომპანიების უმთავრესი სტრატეგიაა შეთავაზონ ქვეყანას თავიანთი ხედვა პროდუქციის ან მომსახურების გასაყიდად, რათა ისინი ადგილობრივი კულტურების შესაბამისი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს იწვევს შეცდომებსა და გაუგებრობებს, შედეგი შემოსავლის ნაკადის ზრდა და წარმატებული პარტნიორობაა. ტრანსნაციონალური ბიზნესი უნიკალურია იმით, რომ ისინი უპირისპირდებიან კულტურულ, ენობრივ, რელიგიურ და ეთნიკურ ხიდის სირთულეებს. ტრანსნაციონალური კომპანების მიზანია პროდუქციის ან მომსახურების გაყიდვა ისე, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლოს დაკავშირება და შეძენა, როგორც დროის სხვადასხვა ზონებში ასევე სხვადასხვა ადგილებშიც. სასურველი მიზნის მიღწევისთვის მათ საკმაოდ რთული ამოცანები აქვთ შესასრულებელი. ამისთვის პირველ რიგში, საჭიროა არა მხოლოდ კვლევის ჩატარება, არამედ აუცილებელია ნდობის ჩამოყალიბებაც. ტნკ-ბის მართვის სტრუქტურის დაყოფა უმეტესად ხდება სტრატეგიული სამეურნეო ცენტრების მიხედვით, რომლებშიც მოცემული

[6] „Types Of Interrnational Strategies“. p.1. https://opentextbc.ca/strategicmanagement/chapter/types-of-international-strategies/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

ქვედანაყოფის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა და ბაზრის დინამიკის ანალიზი ხორციელდება.

ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილება და კომპანიის ძირითადი ხაზის გაზრდა ორივე მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრანსნაციონალური კორპორაციისთვის ხედვისა და მისიის მარკეტინგისთვის. მხედველობისა და პროდუქტებისა თუ მომსახურების საჭირო ადგილობრივი ადაპტირების გარეშე, მარცხი გარდაუვალია.იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიონ თავიანთ ინდუსტრიულ მეტოქეებს, ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა უნდა შექმნან ძლიერი ქსელები თავიანთ მომხმარებლებთან, მიწოდების ქსელის წევრებთან და სტრატეგიულ ბიზნეს პარტნიორებთან ამ კონკურენტულ და სწრაფად განვითარებულ ბიზნეს გარემოში. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია იმ ძირითადი სფეროების პოვნა, რომლებშიც ფირმებს შეუძლიათ გამოყონ ან განახორციელონ თავიანთი შეზღუდული რესურსი, რათა მთლიანად ისარგებლონ ბაზრის მიმზიდველი შესაძლებლობებით. ინოვაცია არის შედეგი, როდესაც ამ კომპანიებს საშუალება აქვთ დაამყარონ ძლიერი საქმიანი ურთიერთობები თავიანთ მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან. მკაცრი კონკურენციის პირობებში ან საკმაოდ არასაიმედო ბიზნეს სიტუაციაში, ინოვაცია ერთ – ერთი საუკეთესო მიღწევაა ორგანიზაციისთვის. საკუთარი ინდუსტრიის კონკურენტუნარიანი პოზიცია მიიღწევა ინოვაციის წარმატებით შემოტანაში საკუთარი სისტემის, პროდუქტებისა თუ პროცესების მეშვეობით. ბევრი მკვლევარის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ შეუსაბამო ინოვაცია მოკლევადიანია, ის პირდაპირ გავლენას ახდენს ინდუსტრიაში ბაზრის სტრუქტურებზე და მომხმარებელთა პრეფერენციებზე. [7]

ტრანსნაციონალუმა კორპორაციებმა უნდა შეადგინონ მომხმარებლებისთვის ღირებულების შექმნის ახალი მეთოდები. უნდა მოახდინონ ინოვაციური ან მოწინავე პროდუქტების დანერგვა და არსებული პროდუქტების გაუმჯობესება. გარდა ამისა, მათ

[7] P.Ghemawat. „Reconcepualizing International Strategy and Organization“. Srategic Organization. 2008. pp. 195-206.

უნდა შესთავაზონ დამატებითი ღირებულების სერვისები თავიანთ მომხმარებლებს, რათა მიიღონ კონკურენტუნარიანი უპირატესობა თავიანთ ინდუსტრიულ მეტოქეებზე.

ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ, როგორც სტრუქტურულ გარემოცვაში, ისე შინაარსობრივ გარემოში, მათი საქმიანი წარმოების პროცესში, რათა მათ ეფექტურად წარმართონ თავიანთი თანამშრომლობის განხორციელება. მაგალითად, როდესაც საჭიროა გუნდური მუშაობა, თანამშრომლები მიმართული არიან საკუთარი რესურსების, ძალისხმევისა და დროის განაწილებაზე ადაპტირებაზე. თანამშრომლებს აქვთ სრული ავტონომია ყოველდღიური სამუშაო პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული მცირე მასშტაბის გადაწყვეტილებების მიღებაში. როდესაც თანამშრომლებს შეუძლიათ ინფორმაციის გაზიარება და ერთმანეთის დახმარება, სამუშაო ადგილების ბუნება შედარებით უფრო მოქნილი ხდება. ხოლო, როდესაც თანამშრომლები იყოფიან ორ სხვადასხვა ჯგუფად, ერთი მიმართულებაზე ორიენტირებული საქმიანობისთვის, მეორე კი ადაპტირებაზე ორიენტირებული საქმიანობისთვის, ისინი კარგავენ ავტონომიას ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ შემთხვევაში, ერთადერთი ორგანო, რომელსაც შეუძლია ჯგუფების საქმიანობის წარმართვა, და ზედამხედველობა, არის მენეჯმენტის უმაღლესი დონე. შედეგად, პასუხისმგებლობები და ამოცანები ნათლად არის განსაზღვრული და ეცნობება ორგანიზაციის ყველა წევრს, რადგან განაწილებაზე ორიენტირებული საქმიანობა და ადაპტირებადი ქმედებები, მართავს ფოკუსირებულ საქმიანობას. ამასთან, ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ორგანიზაციის წევრები არიან სპეციფიკური პროფესიონალური დარგების სპეციალისტები. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, თუ ახალი საწარმოს სტრატეგიაა გუნდური მუშაობა, აუცილებლად უნდა შეირჩეს კონტექსტუალური ატმოსფერო.

პირველ რიგში, გასაგები უნდა იყოს საზოგადოების სოციალური, კულტურული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები, რომლებშიც ისინი მოქმედებენ ან გეგმავენ საქმიანობას, როგორც მათი ბიზნესის გაფართოების სტრატეგიის ნაწილი. ამის შემდეგ, ამ ანალიზით, მათ შეუძლიათ დაიწყონ ამ

გამოწვევების შესახებ გადაწყვეტილებების შეთავაზება მათი ორგანიზაციის სახელით და ასევე პროექტების წამოწყებით. მეტწილად მიღებულია, რომ საზოგადოებაში პასუხისმგებლობის მქონე კორპორატიული ერთეულის ძალისხმევა დადებით გავლენას ახდენს დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთობებზე და ორგანიზაციების საზოგადოების აღქმაზე.[8]

ადგილობრივი გარემოებისგან განსხვავებით, ტრანსნაციონალური გარემო წარმოადგენს ბიზნეს ორგანიზაციებისთვის დამატებით რისკებსა და პრობლემებს. ამ რისკებზე პირდაპირ გავლენას ახდენს ორგანიზაციების შესაძლებლობები ეფექტურად და მომგებიანი კონკურენციისთვის. აქედან გამომდინარე, ასეთი რისკების გათვალისწინება უნდა მოხდეს, როდესაც ორგანიზაციები ირჩევენ ინვესტიციებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში. ზოგადი საზოგადოების ქცევა, ადგილობრივი და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების მხარდაჭერა, სამართლებრივი მოსაზრებები, სამიზნე ქვეყნების ტექნოლოგიური გარემო და ა.შ. არის ზოგიერთი ძირითადი რისკი, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო გაფართოებასთან და უფრო კონკრეტულად CSR-სთან და მდგრადობის პროექტებთან.

სტრუქტურულ გარემოში ყოფნა არჩევანია, რომელსაც უმაღლესი მენეჯმენტი ხელმძღვანელობს. პროფესორები ბირკინშოუ და გიბსონი ყურადღებას აქცევდნენ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მუშაობის პროცესს. ისინი ხაზს უსვამენ სტრატეგიულ მიმართულებას, რაც გადამწყვეტია ორგანიზაციის მიერ თანამშრომლური საწარმოს მიღებასთან დაკავშირებით.

საკუთარი ორგანიზაციული სტრუქტურით ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მყარად გაიდგეს ფესვი მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. სწორედ აღნიშნული კორპორაციები აღწევენ პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობაში და მხარს სხვადასხვა პარტიებსა და მოძრაობებს უჭერენ. ისინი ასევე

[8] K. Motohashi. „Global Business Srategy“. Springer, Tokyo. 2015. pp. 9-11.

საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ერევიან რაც გარკვეულწილად მათი საქმნიანობის ნეგატიურ და პოზიტიურ ასპექტების გამოკვეთას განაპირობებს.

ტრანსნაციონალური კორპორაციები მთავარ ძალას წარმოადგენენ, რომლებიც პლანეტის ინტეგრირებას ახდენენ. მათ აქვთ უდიდესი ძალაუდლება, რომლის დახმარებითაც მათ შეუძლიათ გააკონტროლონ ან გვერდი აუარონ ეროვნულ ეკონომიკურ საზღვრებს. აღსანიშნავია ის, რომ კორპორაციების როლი გლობალიზაციის პროცესმა არა მარტო გაზარდა ეკონომიკასა და პოლიტიკაში, არამედ მათი სტრუქტურული ცვლილება და შინაარსიც მოახდინა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ „ფორდ მოტორს“-ი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ცნობილი საავტომობილო ბრენდია. კომპანიამ, რომელიც ინოვაციური ავტომობილების ბრენდად არის ცნობილი, მიაღწია წამყვან პოზიციას საავტომობილო ინდუსტრიაში. ავტო ინდუსტრია გაიზარდა უაღრესად რთული და კონკურენტუნარიანი. კვლევებისა და განვითარების გარდა, მარკეტინგი ასევე გახდა მთავარი ფოკუსური სფერო ბრენდებისთვის. ფორდმა განაგრძო შემოსავლის ზრდა რამდენიმე ზედიზედ წლის განმავლობაში. ეს არის გლობალური კომპანია, რომელიც დაფუძნებულია მიკარგანის Dearborn- ში, სადაც დაახლოებით 202,000 თანამშრომელია. კომპანია აწარმოებს და ყიდის ფორდის მანქანების, სატვირთო მანქანების, სპორტული კომუნალური მანქანების (”ჯიპი”), ელექტროფიცირებულ მანქანებს და ლინკოლნის ძვირადღირებულ ავტომობილებს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბრენდის შემოსავალი სტაბილურად გაიზარდა. 2017 წელს მან 156,78 მილიარდს მიაღწია, 2016 წელს 151.8 მილიარდიდან გაიზარდა. 2017 წელს Ford- ის გადასვლის წელი იყო. ბრენდი აგრესიულად ფოკუსირდება ხარჯების შემცირებაზე, ასევე კაპიტალისა და რესურსების გადანაწილებაზე ყველაზე მაღალი პოტენციალით. მისი პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი არის ჯიმ ჰაკეტი.

„ფორდ მოტორსი“, რომლის რეკონსტრუქციაც მოხდა უახლოეს წარსულში. ამ კომპანიის მართვა არ ხორციელდება მხოლოდ ერთი ცენტრიდან, არამედ ის მთელს მსოფლიოშია გადანაწილებული და დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრით.

ყველა საწარმოში ერთნაირ პროდუქციას აწარმოებენ და მოხდა პროდუქციის (ავტომანქანების) ერთგვარი სტანდარტიზაცია. შესაბამისად ფორდის მიერ გამოშვებული ნაწარმი აღარ მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ ქვეყანას, არამედ ის „მსოფლიო ავტომობილს“ წარმოადგენს და აღარ აქვს მნიშნველობა, თუ რომელ ქვეყანაშია დამზადებული, არც ამერიკულ კომპანიად მოიაზრება და „დამზადებულია აშშ-ში“ მარკა შეცვალა „დამზადებულია ფორდ მოტორში“-მ. ამ კომპანიას არ გააჩნია სათავო ოფისი. [9]

XXI საუკუნის მოთხოვნა სწორედ ისაა, რომ ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა არ მიიღონ კონკრეტული ქვეყნის სტატუსი და ფეხი აუწყონ გლობალიზაციის პროცესს, სადაც აღნიშნული კორპორაციები წარმოდგენილი იქნებიან გლობალური მარკის ნიშნით.

დღესდღეისობით მსოფლიო ეკონომიკაში არ ხდება არცერთი მნიშნელოვანი პროცესი, რომელშიც არ მონაწილეობს ტრანსნაციონალური კორპორაცია. ისინი მონაწილეობას იღებენ მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში იქნება ეს ირიბი თუ პირდაპირი ჩარევა. შეიძლება ითქვას რომ ძირითად როლსაც კი ასრულებენ ამ პროცესების წარმართვაში.

აღსაღნიშნია ის ფაქტი, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრუქტურების თავისებურებების ცალსახად დადებით ან უარყოფით ეფექტს ვერ ვხედავთ, რადგან ისინი ცდილობენ თავიანთი საქმიდან გამომდინარე შექმნან საკუთარი ნიშა მსოფლიო ბაზარზე. შესაბამისად მათი სტრუქტურების მუშაობაც ამ პროცესის თანმდევია და ხან პოზიტიურ ხანაც ნეგატიურ გამოხმაურებას იწვევს საზოგადოებაში.

[9] დ.გეფერიძე. ა.ხაზალია. „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და ტრანსნაციონალური კორპორაციები“. „ბონა კაუზა“ . თბილისი 2014. გვ.256-259.

თავი 2. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში რეფორმების თავისებურებები

2.1. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რეფორმების თავისებურებები და ტრანსნაციონალური კორპორაციები

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობის ფორმირებიდან გასულია პრაქტიკულად 25 წელი, ტრანსფორმაციული პროცესების დასრულების საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად რჩება. ეს თავის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ ადმინისტრაციულ-სამმართავი სისტემის ტრანსფორმაცია შერეული ტიპის საბაზრო სისტემაში-არის ხანგრძლივი, მრავალი ასპექტის შემცველი და რთული პროცესი, რომელშიც ჩართულია ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნა, რომელიც თავიდანვე აგებს გარკვეულ სპეციფიკას ასეთი ქვეყნების განვითარების ხასიათში.

ამასთანავე, სოციალისტური ქვეყნების ადმინისტრაციული ეკონომიკის წაგებამ კაპიტალისტური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის კონკურენტულ ბრძოლაში, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის კრიტერიუმების მიხედვით დაადგინა გარდამავალი ქვეყნების სტატუსი, როგორც განვითარებადი ქვეყნების, თუმცა ასეთი ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურა და მათი საბაზისო მოთხოვნები განსხვავდება ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისგან. ამიტომ, მსოფლიო ეკონომიკაში „გარდამავალი ეკონომიკის“ ტერმინი გამოიყენება სოციალისტური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასახასიათებლად.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფს ტრადიციულად განეკუთვნება:

1. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 12 ქვეყანა, მათ შორის უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, ბულგარეთი და რუმინეთი, რომლებიც დღეისთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან;

2. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის 15 ქვეყანა, მათ შორის ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, რომლებიც ასევე ევროკავშირის წევრნი არიან;
3. მონღოლეთი და ალბანეთი;
4. ჩინეთი, ვიეტნამი და ლაოსი, რომელბიც ახლაც აგრძელებენ სოციალიზმის მშენებლობას საბაზრო რეფორმების საფუძველზე;
5. კუბა.

სრულიად ლოგიკური იქნება, თუ ჩვენ გამოვრიცხავთ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირის წევრნი არიან, ვინაიდან, როგორც უკვე ავხსენით ისინი განვითარებად ეკონომიკის ქვეყნებად არ მოიაზრებიან. თუმცა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების აზრით ასეთ ქვეყნებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ეკონომიკური გარდამავლობის პროცესები, რაც თავის მხრივ ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს ანალიტიკოსთა უმრავლესობებისგან. მიუხედავად ამისა, ასეთი ქვეყნების საბაზრო ურთიერთობების ფორმირების გამოცდილების შესწავლა სასარგებლო იქნება შედარებითი ანალიზისთვის.[10]

დღეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები აწარმოებენ დაახლოებით მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის მეხუთედს. ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსთვის, თავიდანვე დამახასიათებელი იყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე სოციალისტური ბლოკის ქვეყნებთან შედარებით. ასე მაგალითად, მონღოლეთი, ალბანეთი ასევე პოსტსაბჭოთა და პოსტიუგოსლავიის ქვეყნები მკვეთრად გამოირჩეოდნენ ამათ ფონზე თავის განუვითარებლობის დონით. თავდაპირველად ამას ხელს უწყობდა სისტემური რეფორმების განხორციელების სასტარტო პირობები, რომლებიც მათ ცალსახა უპირატესობას ანიჭებდნენ. ყველა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა მიზნად ისახავდა ერთ და იგივე მიზანს, მაგრამ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ბალანსის გამო, სახელმწიფოებში იყენებდნენ სხვადასხვა გზებს თანამედროვე საბაზრო სისტემაში შესასვლელად. სისტემური გარდაქმნის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო

[10] В. Бурдули. „Роль Процессов Глобализации В Абновлении Хозайства Страны С Переходной Экономикой (на примере Грузии“). Тбилиси. Грузия. г. 2007. стр. 58-66.

მიდგომა არსებობს: ესაა რადიკალური რეფორმები, რომლებმაც მიიღეს სახელი „შოკური თერაპია“, ხოლო მეორე ეტაპობრივი რეფორმები ან „გრადუალიზმის“ კონცეფცია.

რეფორმირების პირველი გზა გვთავაზობს „ერთ სექტორიანი“ გარდამავალი ეკონომიკის მოდელის ფორმირებას, სადაც არსებობს მხოლოდ საბაზრო მექანიზმი. მეორე მიმართულებას მივყავართ „ორ სექტორიანი“ გარდამავალი ეკონომიკური სისტემის მოდელის შექმნისკენ, სადაც ერთდროულად არსებობს ორი მექანიზმი- საბაზრო და სახელმწიფო, რომელთა არაეფექტურ ელემენტებს დროთა განმავლობაში გამოირიყებიან უფრო ეფექტური მექანიზმების მეშვეობით. ამასთანავე არ უნდა გავარჩიოთ „ორ სექტორიანი გარდამავალი ეკონომიკის მოდელი“ და „შერეული ეკონომიკა“ რომელშიც შედიან სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც ფუნქციონირებენ საბაზრო პირობებში.

რადიკალური რეფორმები ხორციელდება დაუყოვნებლივ ფართომაშტაბიანად სწრაფი საბაზრო ეკონომიკის ბაზის ფორმირების მიზნით. ეტაპობრივი რეფორმები ხორციელდება უფრო თანმიმდევრულად, ამიტომ ნაკლებად რადიკალურად და უფრო ეფექტიანად, გარდაქმნის განხორციელების შიდა და გარე პირობების გათვალისწინებით, რომლებიც მიზანმიმართულია ეფექტიანობისკენ, სტაბილურობისკენ და პოლიტიკურ-სამართლებრივი სტრუქტურების შესაბამისობისთვის. ამიტომ გრადუალიზმი გამოირჩევა რეფორმირების პროცესის ხანგრძლივობით, რაც განიხილება ამ მიდგომის სისუსტედ, რომელიც ქმნის შეუთავსებადობას ორ ეკონომიკურ სექტორს შორის. თუმცა „ორ სექტორიანი“ გარდამავალი ეკონომიკის მოდელი „ერთ სექტორიან“ მოდელთან შედარებით უფრო ნაკლები ზარალის მომტანია.

ერთ სექტორიანი მოდელისთვის დამახასიათებელია ტრანსფორმაციული ვარდნა (მშპ შემცირება სისტემური რეფორმების დაწყებით წლებში) და დიდ სოციალურ დანახარჯებთან მოსახლეობის ფსიქოლოგიურ ადაპტირებაში, რომელიც

გამომდინარეობს ეკონომიკური სისტემის მკვეთრი ცვლილებიდან, რომლის რეალიზაციამ გამოიწვია რიგ ქვეყნებში „შოკი თერაპიის გარეშე“. ასე მაგალითად რუსეთსი ამ პროცესით გამოწვეულმა პრობლემებმა გამოიწვია ფაქტობრივად ეკონომიკური სისტემის დეინდუსტრიალიზაცია.[11]

„შოკური თერაპია“ იყო რეალიზებული პოლონეთში, ჩეხეთში, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში და ოფიციალურად იყო გამოცხადებული „დსთ-ს“ უმრავლეს ქვეყანაში, რომელსაც, როგორც წესი თან ახლდა ფინანსების დესტაბილიზაცია, მაღალი ინფლაციის დონე, გრძელვადიანი ეკონომიკური ვარდნა. ხშირად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი აღწევდა ორნიშნა ნიშნულს (1993 წელს სომხეთში მშპ 56%). წლიური ინფლაცია აღწევდა ოთხნიშნა ნიშნულს, ხანდახან კი ხუთნიშნა ნიშნულს (1993 წელს უკრაინაში 10 155%).

არაპოპულარულმა რადიკალურმა რეფორმებმა გამოიწვიეს უმუშევრობის დონის ზრდა, მოსახლეობის რეალური შემოსავლების საშუალო დონის მკვეთრი შემცირება, შობადობის დონის შემცირება, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება. ასე, დსთ-ს ქვეყნებში დაფიქსირდა მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლები სწრაფი ვარდნა.

ევოლუციური გარდაქმნის მახასიათებელი დამახასიათებელია ბულგარეთისთვის, უნგრეთისთვის, რუმინეთისთვის, სლოვაკეთისთვის, სლოვენიისთვის, ხორვატიისთვის. ამ ქვეყნებმა შექმნეს დადებითი საინვესტიციო კლიმატი და ამის ხარჯზე საკმაოდ სწრაფად გადალახეს ეკონომიკური ვარდნა, რითაც საკმაოდ მიმზიდველები აღმოჩნდნენ დასავლეთ ინვესტორებისთვის. ეს კონკრეტული მოდელი უმეტესწილად თანმიმდევრულად რეალიზდება ჩინეთში, ვიეტნამში, ბელარუსეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში და უზბეკეთში. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა

[11] Ж. Сапир. „Вашингтонский консенсус и российские реформы: история провала“ Междунар. журн. М. 2001. № 33. стр. 53-66.

გრადუალიზმის კონცეფციის რეალიზაცია უფრო ეფექტური აღმოჩნდა ბაზარზე გადასასვლელად ვიდრე „შოკური თერაპია“.

გასული საუკუნის 90-იან წლამდე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, ალბანეთი) სოციალისტური ბანაკის ნაწილს წარმოადგენდნენ. 80-იან წლებში ამ ქვეყნების ეკონომიკაში შეინიშნებოდა კრიზისის ნიშნები, კონკრეტულად კი:

მოხმარების მოცულობის და ინვესტიციების შემცირება:

- ✓ საგარეო ვალის ზრდა 8 მლრდ. აშშ დოლარიდან 1972 წელს, 85 მლრდ. აშშ დოლარამდე 80-იანების მიწურულს;
- ✓ წარმოების დონის ვარდნა, მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის წილის შემცირება;
- ✓ დაბალი მწარმოებლურობის ეფექტიანობა, რომელიც დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების არასრულფასოვან გამოყენებასთან;
- ✓ 1987 წელს ინფლაციის დონის ზრდა თვეში 3დან 4%მდე. პოლონეთში და იუგოსლავიაში ინფლაცია გადაიზარდა ჰიპერიფლაციაში;
- ✓ ფარული უმუშევრობის ზრდა.

კრიზისის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, სოციალისტური გეგმიური ეკონომიკის არაეფექტიანობიდან ელიტისი საბოტაჟმდე. 80-იანების მიწირულს და 90-იანების დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა სოციალისტური პოლიტიკური სისტემიდან ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე გადასვლა. არსებულმა პოლიტიკურმა გარემომ გარდაუვალი გახადა ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო გეგმიური ეკონომიკის სტრანსფორმაციისკენ კაპიტალისტურ ეკონომიკაზე, რომელიც თავის მხრივ ინტეგრირებული იქნებოდა მსოფლიო ბაზარში.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ საფუძვლად ისეთი რეფორმების მოდელი აიღეს, რომელიც შემოთავაზებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. ამ მოდელში ჩართული იყო შემდეგი პუნქტები: პირველი ეს იყო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ზომები, რომლებიც თავის მხრივ მოიცავდა, მკაცრ საგადასახადო პოლიტიკას (დანახარჯების შემცირება და საბიუჯეტო პროფიცტის მიღწევა) და მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას ინფლაციის გაკონტროლების მიზნით (ფულადი მასის მკაცრი კონტროლი და მკვეთრი საპროცენტო განაკვეთის ზრდა). მეორე ეს იყო სავაჭრო და საფასო (ფასის) რეფორმა, რომელიც მოიცავდა, საშინაო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, სამუშაო ძალის ბაზრის ლიბერალიზაციასა და საბანკო სისტემის ლიბერალიზაციას. მესამე რეფორმა იყო ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარება, რომელიც საწარმოების გახსნა/დახურვის გამარტივებას, საწარმოს პირად საკუთრებაში გაფორმების გამარტივებასა და სახელმწიფო ქონების მასიური პრივატიზაციაც მოიცავდა. ხოლო მეოთხე იყო ეკონომიკური რეფორმების პოლიტიკური, იურიდიული და ორგანიზაციული უზრუნველყოფა, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა, საკანონმდებლო რეფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას, ეკონომიკის მართვის სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმას (საგადასახადო სისტემა, ბიუჯეტის ფორმირების, აღრიცხვის და კონტროლის სისტემა) და ასევე სოციალური რეფორმას (უმუშევრობისგან თავის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური მომსახურება, კერძოდ: ჯანდაცვის, განათლების და ა.შ).[12]

განვიხილოთ ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობა აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე განვითარებული ქვეყნების მაგალითებზე, კონკრეტულად კი: პოლონეთზე, უნგრეთზე და ჩეხეთზე.

[12] „Восточная Европа“ . стр.1. http://www.milogiya2007.ru/mireconom19.htm (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

პოლონეთში რეფორმები სამ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი 1990-1991 წწ. სახელმწიფოს მიერ ხუთი ყველაზე მსხვილი და წარმატებული კომპანიების აქციების გაყიდვა. მასიური მცირე პრივატიზაცია. 1990 წლის მიწურულს კერძო მესაკუთრეების ხელში იმყოფებოდა საცალო ვაჭრობაზე ორიენტირებული საწარმოების დაახლოებით 40%-ი, კვების ობიექტების 60% და კომერციული ბანკების 50%. მცირე საწარმოების მიერ წარმოებული საქონელი გაიზარდა 25%-ით.

მეორე ეტაპი 1991-1992 წწ. აქციონერული გზით პრივატიზირებულია 13 საწარმო. რამდენიმე ათასი საწარმო, იყო შეტანილი ე.წ „სალიკვიდაციო სიაში“. ფართო მასშტაბიანი შრომითი კოლექტივების საწარმოების იჯარის დანერგვა, აგრეთვე მათი გაყიდვა სამამულო (ადგილობრივ) და უცხოურ ფირმებზე. კერძო სექტორში წარმოებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 8%-ით. კერძო საწარმოების რაოდენობა სამრეწველო კუთხით შეადგენდა 2.2 ათასს, ვაჭრობაში 7.7 ათასს, ხოლო მშენებლობის განხრით კი 3.5 ათასს. სამრეწველო საწარმოებს შორის მცირე 5 დასაქმებულით აწარმოებდა მთლიანი კერძო სექტორის საქონლის 60%-ს. 1992 წელს კერძო სექტორზე რეალიზებული სამრეწველო საქონლის 24,1%, სამშენებლო-სამონტაჟე საქმიანობის 55,2%, მომსახურების მთლიანი ღირებულების 23,7% მოდიოდა. კერძო სექტორში დასაქმებული იყო მთლიანი მუშახელის 50,6%. კერძო მესაკუთრეები ყველაზე ინტენსიურად ეუფლებოდნენ სავაჭრო სექტორს. საცალო ვაჭრობაში კერძო მაღაზიების წონის წილი შეადგენდა 75%, ბრუნვა აღემატებოდა 80%.

მესამე ეტაპი 1993-1996 წწ. ხასიათდება საინვესტიციო საქმიანობის აქტივობით, წარმოების ზრდით. 1993-1996 წწ. სამრეწველო საქონლის ზრდა მიაღწეულია, ძირითადად კერძო სექტორის ხარჯზე, სადაც მან 38,6% შეადგინა. კერძო სექტორის წილზე მოდის სოფლის მეურნეობის დაახლოებით 50%, სამრეწველო 37,4%, სამშენებლო პროდუქციის 85,8%, საცალო ბრუნვის 87,8%.

უნგრეთში, ეტაპობრივი პრივატიზების პოლიტიკამ განაპირობა 1998 წელს 50%-ზე მეტ სახელმწიფო საწარმოების გადასვლა კერძო საკუთრებაში. უპირატესს

თავისებურებას წარმოადგენს უცხოური კაპიტალის აქტიური მონაწილეობა. უცხოური კაპიტალის წილი კერძო სექტორში 11%-ს აღემატებოდა. კერძო სექტორის წილი მშპ-ში (მთლიანი შიდა პროდუქტი) 90-იანების მიწურულს 60%-მდე გაიზარდა.[13]

ჩეხეთში კერძოდ კი იმ პერიოდში ჩეხოსლოვაკიაში ეკონომიკური რეფორმები 1990 წელს დაიწყო. ეროვნული კონსენსუსის მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებაში 1989 წელს დეკემბერში მოვიდა, დაუყოვნებლივ გამოაცხადა რეფორმების პრინციპები: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საკუთრების ფორმების პლურალიზმი და წარმოების დემონოპოლიზაცია. ახალი ეკონომიკური რეფორმების რეალიზაცია დაიწყო 1990 წლის აპრილში. ამ დროს გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები მისი განხორციელების ტემპებთან, ცალკეული ეტაპების თანმიმდევრულობასთან და შედეგების შეფასების გზებთან დაკავშირებით. მთავრობის გამოჩენილმა მოხელემ ვ. კომარეკმა განახორციელა ინფლაციის უმნიშვნელო ზრდის ტემპების და უმუშევრობის პროგნოზირება, ასევე დადებითად აფასებდა იმ დროინდელი ჩეხოსლოვაკიის გარკვეული უპირატესობები, რომლების დაკავშირებული იყო შედარებით მცირე საგარეო დავალიანებასთან და მუშახელის შედარებით მაღალ კვალიფიკაციასთან. სხვა რეფორმატორები, უპირატესად ფინანსთა მინისტრი ვაცლავ კლაუსი, ამტკიცებდნენ, რომ აუცილებელია რეფორმების უფრო სწრაფი გატარება და გადასვლას სავაჭრო ეკონომიკაზე. გამარჯვება მოიპოვეს ვაცლავ კლაუსის მომხრეებმა, ჩეხეთმა აირჩია „შოკური თერაპიის“ სტრატეგია და დაჩქარებული ვაუჩერული პრივატიზაცია.

1991 წლის იანვრიდან ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო რეფორმების პრაქტიკული რეალიზაცია. ჩეხეთის რეფორმატორებმა გაითვალისწინეს პოლონეთის გამოცდილება, რა დროსაც გამოყენებულ იქნა პოლონური „შოკური თერაპიის“ სტრატეგიის პრაქტიკულად ყველა ელემენტები, თუმცა ზოგიერთი მათთაგანი უფრო შერბილებულ ფორმაში. ხორციელდებოდა შედეგი ღონისძიებები: ფასების ლიბერალიზაცია. მისი

[13] C. Stevens. J. Kennan. „Reform in Eastern Europe and the Developing Country Dimension“. Overseas Development Institute. London 1992. pp.92-100.

ტემპები ჩეხოსლოვაკიაში იყო ყველაზე მაღალი რეგიონში ყველა ქვეყანასთან შედარებით; მკაცრი საფინანსო პოლიტიკის რეალიზაციის მცდელობა ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთა, პრაქტიკაში შოკური თერაპიის პროგრამის რეალიზაცია ჩეხოსლოვაკიაში ნაკლებად საზიანო იყო აღმოსავლეთ ევროპის სხვა ყველა ქვეყანასთან შედარებით და ჩეხეთის კრონის მნიშვნელოვანი დევალვაცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა მისი შიდა კონვერტირებადობის უზრუნველყოფა. კრონი დააფიქსირეს და მიაბეს სავალუტო კალათაში.

90-იანი წლების მიწურულს ჩეხეთში დომინირებდა კერძო სექტორი. კერძოდ, მრეწველობაში კერძო საკუთრების წილი 1999 წელს შეადგენდა 80%.

აღმოსავლეთ ევროპაში რეფორმების შედეგები დღემდე მწვავე დისკუსიის სახითხად რჩება. შევეცადოთ გამოვყოთ რეფორმების ძირითადი უარყოფითი და დადებითი შედეგები.

დადებითებს განეკუთვნება: ეკონომიკაში კრიზისული პროცესების გამკვლავება, რომლებიც დამახასიათებელია გვიანი სოციალისტური პერიოდისთვის- ჰიპერინფლაცია და დეფიციტი; მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და შრომის მწარმოებლურობა. (ვარდნის შემდეგ გარდამავალ პერიოდში). მსგავსი შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა პოლონეთში, სლოვენიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში; ინვესტიციების დონის ზრდა და ტექნოლოგიური განახლება წარმოების კუთხით-რაც დაფიქსირდა რიგ ქვეყნებში. ხოლო უარყოფითს განეკუთვნება: უმუშევრობის დონის ზრდა (10-20%-მდე საუკუნის დასაწისში სხვადასხვა ქვეყნებში); მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება და განაწილების კუთხით მათი არათანაბარი ზრდა. ამ საუკუნის დასაწყისისთვის პოსტსოციალისტური ქვეყნების მხოლოდ მეხუთედმა გააუმჯობესა თავისი მატერიალური მდგომარეობა, მაშინ როცა მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ დაეცა; ჯანდაცვის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების დახმარების შემცირება და უცხოური კაპიტალის მიმართ მზარდი დამოკიდებულება.

აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ყველა ქვეყნისთვის ეკონომიკური რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები განსხვავებულია. ასე მაგალითად შედარებით წარმატებულებს განეკუთვნებიან ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები, როგორიცაა პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი, ასევე სლოვენია. მაშინ როცა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მდგომარეობა, მაგალითად ბულგარეთის და რუმინეთში გარკვეულწილად მძიმეა. განვითარებული მსოფლიო კრიზისი ეს არის კიდევ ერთი გამოცდა 90-იანი წლების ეკონომიკური რეფორმების შედეგად შექმნილ სისტემების სიძლერეზე.[14]

2.2. ბალტიის ქვეყნების ეკონომიკური რეფორმები და ტრანსნაციონალური კორპორაციები

ბალტიის ქვეყნების ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები ერთნაირია და მათი რელიეფიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს აქ ძირითადად ბეკონის წარმოება და მერძეული მესაქონლეობა წარმოადგენს.

სსრკ-ს დაშლიდან 25 წლის შემდეგ ჯერ კიდევ ჰბადებს საზოგადოებაში კითხვებს და კამათის საფუძველად მიიჩნევა: იყო თუ არა წარმატებული იმ ეკონომიკური რეფორმების ერთობლიობა, რომელიც განხორციელდა ლიეტუაში, ლატვიასა და ესტონეთსში. მსოფლიო პრესა საკმაოდ სერიოზულად უწოდებდა ლიეტუას, ლატვიას და ესტონეთს „ბალტიის ვეფზვებად“, მათი ეკონომიკური ბუმის დროს (2000 წლიდან 2006 წლამდე), ასეთი დამოკიდებულებისთვის და მიწოდებისთვის არსებობდა ყოველგვარი საფუძველი, ეს ქვეყნები ვითარდებოდნენ იგივე ტემპებით, როგორც

[14] Р. Гринберг. „Результаты экономических реформ в постсоциалистических странах“. http://personnel.uapa.ru/courses/Итоги реформ Вост Европа.doc (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

ჩინეთი. ამრიგად 2006 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ესტონეთში გაიზარდა 11,2%-ით, ლატვიაში 11,9-ით, ლიეტუაში 7,5%-ით, თუმცა 2008 წლის კრიზისმა საკმაოდ ძლიერი ზიანი მიაყენა ამ სამივე ქვეყანას, ამან გამოიწვია ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი დაცემა, პრაქტიკულად მშპ-ს შემცირებამდე. ამ მოვლენამ განაპირობა ის გარემოება, რომელშიც ბალტიის სამივე ქვეყანა აღმოჩნდა მსოფლიოს ყველაზე ცუდი ქვეყნების ხუთეულში მშპ-ს დინამიკის კუთხით. ლატვიაში უმუშევრობის დონე გაზარდა 5,7%-დან 10,4%-მდე, ესტონეთში 4,1%-დან 9,2%-მდე, ლიეტუაში კი 4,3%-დან 8%-მდე. თუმდა დღეს მიუხედავად ამისა, ცხოვრების სტანდარტები ბალტიის ქვეყნებში, მნიშვნელოვანწილად მაღალია ბელარუსეთთან და რუსეთთან შედარებით, თუმცა იმაზე ცოტათი ნაკლებია ვიდრე პოლონეთში, რომელმაც შეძლო ეკონომიკური რეფორმების განხორციელება ყველაზე წარმატებით მთელ რეგიონში, ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი რომ 2009 წელს პოლონეთი იყო ერთადერთი ქვეყანა ევროპაში, რომელმაც დაგვანახა მშპ-ს მაჩვენებლის ზრდა. ასევე დღეს, ლიეტუა, ლატვია და ესტონეთი ისევ აშენებენ თავის სამრეწველო ინდუსტრიას საბჭოთა საწარმოების განახლებით და ახალი საწარმოების შექმით.[15]

2013 წლამდე სამი ქვეყნის (ლიტვა, ლატვია და ესტონეთი) ეკონომიკურმა მაჩვენებელმა რეკორდულად მოიმატა. ესტონეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 102%-ით, ლიტვის 134%-ით, 152%-ით გაიზარდა. რა თქმა უნდა ეს გარკვეულწილად ევროკავშირში გაერთიანებას უკავშირდება. რადგან მანამდე სამივე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 10 პროცენტსაც არ აღემატებოდა.

1990-1991 წლებში ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტში, ქვეყნის ლიდერები მოსახლეობაში მაქსიმალურად უწევდნენ პროპაგანდას აღმოსავლეთ ევროპის შვეიცარიის იდეას, რომელსაც მაღალი განვითარებული საბანკო სისტემა ექნებოდა. ამ იდეით მართლაც 1990 წლების მიწურულს ქვეყნის მშპ-ს 70%-ზე მეტს

[15] „„Балтийские тигры“ или все же только „котики““. стр. 1.

https://www.rosbalt.ru/world/2017/06/27/1625969.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

უზრუნველყოფდა საფინანსო მომსახურების სექტორი. მშპ-ს კიდე 18-20%-ს ქვეყანას აძლევდა ბალტიის პორტების ტრანზიტი. თავდაპირველად ასეთი ეკონომიკური მოდელი საკმაოდ ლოგიკურად გამოიყურებოდა. დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსის მოპოვების შემდეგ, ლატვიამ დაკარგა მსხვილი საბჭოთა ბაზარი, ამასთან ლატვიას საკმაოდ გაუჭირდა ვინაიდან ლატვიის საბჭოთა კავშირის მსგავსი ინდუსტრია ევროპაში კონკურენციას ვერ გაუწევდა სხვებს.

1990 წლის ბოლოსთვის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ნაცვლად ეკონომიკის წამყვანი დარგი გახდა მომსახურება. მათი მოცულობა 2005 წელს შეადგინა ლატვიაში შექმნილი მთლიანი დამატებითი პროდუქტის 77%-ს. მომსახურების მნიშვნელოვანი წილი, სატრანსპორტო, სასტუმრო და უპირველეს ყოვლისა სატრანზიტო და ფინანსური იყო ექსპორტული ანუ შემოდიოდა ქვეყნის გარედან. მიუხედავად ამისა მათ ვერ მოახერხეს აგრომრეწველობის კომპლექსის ვარდნის კომპენსაცია. ქვეყნის ეკონომიკის წამყვან დარგად გამოცხადდა ვაჭრობა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო.

1992-1993 წწ. ცხოვრების დონის მკვეთრი ვარდნის შემდეგ, 1997 წლიდან დაიწყო რეალური შემოსავლების ზრდა და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა. 15 წლის განმახვლობაში მინიმალური ხელფასი გაიზარდა 12-ჯერ. 1993 წლიდან 2008 წლამდე საშუალო ხელფასი და პენსია გაიზარდა დაახლოებით 8,5-ჯერ, სასიცოცხლო მინიმუმი 4,2 ჯერ, მაგრამ ხელფასის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ლატვიის კომპანიების კონკურენტუნარიანობის შემცირება და 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად სულ რაღაც ერთ წელიწადში ლატვიის მოსახლეობა 1,5-3 ჯერ შემცირდა. ლატვიის რეფორმატორებმა 90-იანების დასაწყისში უგულებელყვეს ის ფაქტი რომ ლატვია პატარა ქვეყანაა ნედლეულის საბადოების გარეშე და შეზღუდული შიდა ბაზრით და მას არ შეუძლია ეფექტური განვითარება, მხოლოდ მომსახურების სექტორის გაზრდის ხარჯზე. 1994 წლიდან 16 წლის განმავლობაში იმპორტი აღემატებოდა ექსპორტს, 2007 წელს იმპორტმა მიაღწია 27,6% ის ნიშნულს მთლიანი

შიდა პროდუქტიდან. მთელი პერიოდის მანძილზე სავაჭრო ბალანსის დეფიციტი კომპენსირდებოდა უცხოური ინვესტიციებით და კრედიტებით/სესხებით.

სპეკულარული კაპიტალის შემოდინება შვედეთის, აშშ-ს, გერმანიის საბანკო სისტემებიდან გამრავლებული მოსახლეობის სესხების უკიდურესად ლიბერალურ დაკრედიტებაზე შედეგად კატასტროფამდე მიიყვანა. სესხების მიღებისას დასავლური ბანკებიდან ლატვიის მოსახეობა ხარჯავდა იმპორტულ საქონელზე, შედეგად გაცემული სესხები პრაქტიკულად დაუყოვნებლივ უბრუნდებოდა საზღვარგარეთს. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი მატულობდა და აიძულებდა მთავრობას საგარეო ვალის ასახებად. ქვეყნის საგარეო ვალმა მიაღწია მშპ-ს 160%-ს. 2000-იანების მეორე ნახევარში ბანკებმა და საფინანსო კომპანიებმა შეწყვიტეს ლატვიის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. მეტიც, მათ დაიწყეს აქტივების დაკარგვა და გაკოტრება. ასე მაგალითად Parex Bank-მა 2008 წელს ლატვიის მთავრობის მხრიდან იყო ნაციონალიზირებული გაკონტრების თავიდან ასაცილებლად. 4 დოლარში სახელმწიფომ მიიღო ბანკის აქციების 51%. რესტრუქტურიზაციის შემდეგ ბანკში დარჩა მხოლოდ პრობლემური აქტივები და შედეგად ბანკმა დატოვა ბაზარი.[16]

2010 წელს მანქანა-დანადგარებმა ლატვიის საექსპორტო საქონლის მხოლოდ 15% შეადგინა. 2010 წელს ქვეყნის მშპ დაეცა 18%-ით, ეს იყო ყველაზე ცუდი მშპ-ს დინამიკის მაჩვენებელი მსოფლიოში იმ მომენტისთვის. შეუძლებელი გახდა ასევე ქვეყანაში აგრარული რეფორმების გატარება, დღეს კოლმეურნეობები რეფორმირებულია მცირე საფერმერო კარ-მიდამოებად. როგორ ჩანს ლატვიის ეკონომიკა თითქოსდა შეჩერდა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი ემიგრირებულია დასავლეთ ევროპაში სამუშაოდ (რიგის მოსახლეობა 1991 წლიდან 2011 წლამდე 23%-ით შემცირდა). ახალგაზრდების ემიგრირებას ქვეყანა მიყავს მძიმე მდგომარეობამდე, ვინაიდან ბიუჯეტს დაეკისრა მძიმე ტვირთი პენსიონერების სახით. ასეთ პირობებში,

[16] „экономика эстонии охлаждается“ стр. 1. https://rus.err.ee/921529/jekonomika-jestonii-ohlazhdaetsja (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

მათემატიკურად შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების და შიდა მომარების ზრდის შენარჩუნება.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მოწინევე ქვეყანას წარმოადგენს ლიტვა. მან დამოუკიდებლობა 1990 წელს მოიპოვა და ისეთივე სირთულეები გადაიტანა როგორც მრავალმა სხვა პატარა სახელმწიფომ რომელიც ერთ დროს სოციალისტურ კოლონიას ეკუთვნოდა. თუმცა შეძლო მოკლე ხანში არამხოლოდ თავი დაეღწია სიღარიბისათვის, არამედ მაგალითი გამხდარიყო ბევრი სხვა ახალგაზრდა ქვეყნისთვის, რომელებსაც დღესაც ეტყობა წარსულის მძიმე კვალი.

ლიტვა ბალტიისპირეთის მცირე დამოუკიდებელ ქვეყანას წარმოადგენს , რომლის ტერიტორია 63.2 ათასი კვ.მ,-ია, მისი მოსახლეობა კი 3.8 მილიონს აღწევს. დედაქალაქი ვილნიუსია. სახელმწიფო ენა ლიტვური.

მე-19 საუკუნემდე ლიტვის მოსახლეობის 84% სოფლად ცხოვრობდა და განვითარებული იყო აგრარული მეურნეობა. ამას ხელს უწყობს გარემო პირობებიც რადგან ძირითადი ტერიტორია ვაკეა, 1900 წლიდან დაიწყო კაიტალისზმის დამკვიდრება და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშიც ვითარდებოდა ინდუსტრიული შრომა, პარალელურად ზრუნავდნენ სხვა დარგების განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის დროს, ლიტვაში წამყვან დარგებს მიეკუთვნებოდა : მანქანათმშენებლობა , ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, მეტალურგია და კვებითი მრეწველობა. კარგად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობის კონკრეტული დარგები: მეღორეობა, მეფრინველეობა და რძის პროდუქტების წარმოება.

ყველაზე დიდი ცვლილება ლიტვის ეკონომიკაზე განაპირობა საბჭოთა კავშირის დაშლამ 1991 წელს, რომელმაც გაცილებით დიდი ზიანაი მიაყენა ლიტვის ეკონომიკას, ვიდრე მეზობელ ლატვიასა და ესტონეთს. ეს გამოწვეული იყო ლიტვის გეოგრაფიული და ისტორიულ -კულტურული ფაქტოებიდან გამომდინარე, რადგან იგი ძალიან იყო დამოკიდებული საერთო-საკავშირო ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე ქვეყანაში დაიწყო ფინანსური და ეკონომიკური არასტაბილურობა. იგი მზად არ აღმოჩნდა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთვის, ამიტომ საჭირო გახდა

რეფორმები, რომლის პარალელურადაც, მრეწველობასა და სოფლის 19 მეურნეობაში დაიწყო მწარმოებლურობის დაცემა. უმუშევრობის მაჩვენებელი 4.5%-იდან 12.5%-მდე გაიზარდა. ჰიპერინფლაციამ კი 1992 წელს 1.400%-ს მიაღწია.

თუმცა, 1990 წლის ბოლოდან უკვე ჩანს ლიტვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და იგი უერთდება ევროპის კავშირს. მას შემდეგ რაც ლიტვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი გახდა, მან მიიღო დახმარება 300 მლნ აშშ დოლარის რაოდენობის სესხი. 1992 წელს კი შემოიღეს დროებითი ვალუტა, ტალონი. 1993 წელს კი, მსოფლიო ბანკის დახმარებით იგი ჩაანაცვლა ლიტამ, რის შემდეგაც ეკონომიკური სტაბილურობა უფრო ძლიერდებოდა. ინფლაციის დონემ ნელი დაღმასვლა დაიწყო. თუმცა ლიტვის უმთავრეს ინტერესს განაპირობებს დასავლურ სტრუქტურებში გაერთიანება: ნატო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, ბალტიის ზღვის ქვეყნების კავშირი. [17]

დამოუკიდებლობის პირველ წლებში ეკონომიკური არასტაბილურობიდან გამომდინარე, მთლიანი შიდა პროდუქტი ლიტვაში გაცილებით დაბალი იყო ვიდრე სხვა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. 1994 წელს როცა (მშპ)მ ზრდა დაიწყო და ქვეყანაში უკეთესი მომავლის განწყობა გაჩნდა, 1998-1999 წლებში მომხდარმა რუსეთის კრიზისმა ისევ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. მიღებულმა დარტყმებმა საკმაოდ შეასუსტა ლიტვის ეკონომიკა , მაგრამ გაუძლო და გადალახა სირთულეები, რის შემდეგაც მისმა ეკონომიკამ დაიწყო აყვავება. 1995 წლიდან 2005 წლამდე გაორმაგდა საგარეო ვაჭრობა, ექსპორტმა 2005 წელს 27.1% მიაღწია, იმპორტმა კი 25%. დაიწია უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 1.31 მლნ ევრომდე და განაგრძობდა კლებას. ლიტვიდან ექსპორტირებული საქონელი ძირითადად რუსეთში, შვეიცარიასა და გერმანიაში გადის. იმპორტი კი ძირითადად რუსეთსა და გერმანიიდან ხდება. (მშპ)მ7%ით დაიწყო ზრდა 2007-2009 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე. 2008 წელს მშპ შეადგენდა 111 მლრდ-ს, რომელიც სამჯერ აღემატებოდა 1999 წლის მაჩვენებელს.

[17] N.Williams. „Estonia, Latvia & Lithuania“. Lonely planet. English. june 1. 2006. pp 226-230.

რაც შეეხება ესტონეთის მდგომარეობას, მან ხანმოკლე დროში დიდ წარმატებებს მიაღწია. მან ერთ-ერთმა პირველმა დააღწია საბჭოთა კავშირს თავი და დამოუკიდებლობა 1991 წელს მეორედ მოიპოვა. დამოუკიდებლობის მიღებამ საკმაოდ დიდი ეკონომიკური პრობლემები წარმოშვა ქვეყნაში, მნიშვნელოვანი იყო სწორი ნაბიჯების გადადგმა, რათა ეკონომიკურ კრიზისს ბოლო არ მოეღო სახელმწიფოსთვის. ეკონომიკის გადარჩენისთვის მათ პირველ რიგში საკუთარი ვალუტა-ესტონური კრონა შემოიღეს და გერმანული მარკით ამყარებდნენ. ამან საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო. საჭირო გახდა ბიუჯეტის დაბალანსება, რაც მთავრობის ხარჯების შემცირებით უნდა მომხდარიყო. გატარებული რეფორმების შედეგად ესტონეთმა საოცარი წინსვლა მოახდინა. 1992 წელთან შედარებით, როდესაც ინფლაციის მაჩვენებელი 10 000 პროცენტი იყო, 1993 წელს 89.7 % მდე შემცირდა. 1995 წელს კი 29 პროცენტი გახდა. ამ შედეგმა ესტონეთს გრძელვანიანი მიზნების დასახვის საშუალება მისცა. ქვეყანაში გაიზარდა ექსპორტზე მომუშავე კომპანიათა რიცხვი. დაიწყეს უცხოური ინვესტიციების მხარდაჭერა და დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 4 წლის მანძილზე ბევრს მიაღწია და უმოკლეს დროში მან ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი ინვესტიცია მიიღო, ვიდრე სხვა აღმოსავლეთევროპულმა ქვეყანა. ქვეყანაში შეიქმნა სამუშაო ადგილები, გაიზარდა დასაქმებულთა რიცხვი, ქვეყანა ცდილობდა დემოკრატიის დამყარებას, ამის გარეშე რეფორმების განხორციელება შეუძლებელი იყო. მთავრობამ საკუთრების უფლება პრიორიტეტი გახადა, მოიმატა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა. 1992 წელს 2000 სასტუმრო იყო ქვეყანაში, ხოლო 1992 წლის ბოლოსთვის უკვე 70 000-სს აღემატებოდა. შემცირდა სიღარიბე და უმუშევრობა, ინფლაციის დონე კი მკვეთრად გაუმჯობესდა. დღეს, როდესაც ესტონეთი ევროკავშირისა და ნატოს წევრია, ქვეყანაში ყველაზე კონკურენტული გარემოა სხვა ახალ წევრ ქვეყნებთან შედარებით. ჩატარებული რეფორმებიდან გამომდინარე ესტონეთი ძალიან სწრაფად განვითარდა თანამედროვე ტექნოლოგიურ მმართველობაშიც. გაჩნდა ბევრი ტექნოლოგიური საწარმო. სხვა სახელმწიფოები ესტონეთის მაგალითზე სწავლობენ არამარტო საგადახდო მოდელს არამედ მათ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, განათლების სისტემასა და სახელმწიფო

მმართველობის სფეროს. 2004 წლიდან 2008 წლამდე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი გაორმაგდა და 8.850 აშშ დოლარიდან 18 094 დოლარამდე გაიზარდა. 2019 წლის მონაცემებით ესტონეთმა 4. 5 %-იანი ეკონომიკური ზრდა დააფიქსირა. წარმოების მრეწველობის ზრდა, რომელიც 10 % იყო, წლის დასაწყისში ეკონომიკური განსაზღვრული ნიშნის მესამედს მიაღწია. აპრილის დასაწყისში კი ეკონომიკის მაღალი ზრდა დაფიქსირდა.[18]

ჩვენი კვლევის მიზნებისთვის პირდაპირი ინვესტიციების არ არსებობა ამ კონკრეტულ რეგიონში უმეტეს შემთხვევაში არ არის კრიტიკული- გეოგრაფიული სეგმენტები გამოიყოფა არა მხოლოდ აქტივების გამოყოფისთვის, არამედ შემოსავლებისთვისაც. მართლია იმ კომპანიების შემთხვევაში, რომლების მოქმედებენ ბალტიის ქვეყნებში მომსახურების სფეროში შეიძლება საქონლის გასაღებაც კი არ იყოს, ასე ერთიანი სეგმენტის „ევროპა“ არ არსებობა შეიძლება წამოჭრას საკითხი, რომელიც დაკავშირებული იქნება ბიზნესმენების წარმოდგენასთან ესტონეთის ლატვიის და ლიეტუას გეოგრაფიულ დაკავშირებაზე ამა თუ იმ რეგიონთან. ამის გათვალისწინებით ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ევროკავშირის წევრ ხუთი ქვეყნის წამყვან კომპანიებზე სადაც სამი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყანაა, ნიდერლანდები და გერმანია, ამასთან ნორვეგია და რუსეთი, რომლებიც ევროპული სახელმწიფოების ტნკ-თან შედარებით, არა მხოლოდ მეტად აქტიურები არიან ბალტიის ქვეყნებში პირდაპირი ინვესტიციების სფეროში, არამედ ამასთან პრაქტიკულად ყოველთვის ასრულებენ საკუთარი საქონლის ან მომსახურების გასაღებას ამ რეგიონში.

[18] T.Lane. A.Pabriks. A. Purs. D j. Smith. „The Baltic States: Estonia, Latvia and Lithuania“. Routledge. 2013. M11. pp. 334-344.

თავი 3. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების თავისებურებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

3.1. უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთი ფორმაა და თანამედროვე პერიოდში ეკონომიკუტი გლობალიზაციის ერთ ერთ მამოძრავებელ ძალად ითვლება. ისინი წარმოადგენენ გლობალიზებული ეკონომიკის სისტემის დამახასიათებელ თავისებურებებს, რომლებიც თავის მხრივ გულისხმობს არარეზიდენტი კომპანიის კაპიტალდაბანდებას საწარმოებში, როგორც უძრავ, ისე სხვა აქტივებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების როლი გაიზარდა თანამედროვე ეტაპზე. მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან ტექნოლოგიური სფეროების მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ტეკების მიერ განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების უზარმაზარმა ნაკადებმა. ასევე ხელი შეუწყო ბევრ, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ბაზრების პროვატიზაციას.

1918-1938 წლებში ამერიკული კომპანიები გაიხსნა „ჯენერალ მოტორსისა“ და „ფორდი“-ს ევროპის პირველი ფილიალები, ასევე ლათინურ ამერიკასა და აზიაში. აშშ-ში, ტრადიციულად, ინვესტიციების სხვა სახეებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებენ ინვესტიციებს ისეთ ინვესტორ სახელმწიფოებთან შედარებით მაგალითად როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ასევე ნავთობ-ექსპორტიორი ქვეყნებიც. [19]

[19] ე.გრეჰემი. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა. ეკონომიკური რეფორმები დღეს“ N 1. თბილისი 1999 წელი. გვ. 38-43

ცხრილი1.1

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკა 1913-1971 წლებში.

წლები	1913/14	1930	1950	1970/71
განვითარებადი ქვეყნები	გამავალი	ნაკადები	უპი/მშპ (%)	
გერმანია	11	5		3
საფრანგეთი	23	10		5
კანადა	6	25	6	7
გაერთიანებული სამეფო	49	18	9	17
ნიდერლანდი	82	28		35
იაპონია	11	47		2
აშშ	7	8	4	8
განვითარებადი ქვეყნები	შემავალი	ნაკადები	უპი/მშპ (%)	
ლათინური ამერიკა	40	51	30	13
აფრიკა				
აზია				

წყარო: https://unctad.org/en/Docs/wir2005_en.pdf

XX საუკუნის 90-იან წლებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შედარებით სტაბილურ ნაკადს წარმოადგენდა. ამიტომ განვითარებადმა ქვეყნებმა შიდა საინვესტიციო პოლიტიკის გატარება აქტიურად დაიწყეს, იმისთვის რომ გაეზარდათ მოგება ქვეყანაში შემოსული უცხოური კაპიტალით და აგრეთვე მაქსიმალურად მოეხსნათ გარკვეული შეზღუდვები ამ ინვესტიციებზე.[20]

[20] „World Investment Report 2005. Transnational Corporations and the Internationalizacion of R&D“. p.1. https://unctad.org/en/Docs/wir2005_en.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდა მათი სასაქონლო ფასებითა და საფონდო ბაზრების კარგი მაჩვენებლებით იყო გამოწვეული რაზეც არაერთი წყარო მიგვანიშნებს.

ცხრილი1.2

მსოფლიოს განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების შემავალი და გამავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთლიან შიდა პროდუქტზე (%)

წლები		**1980**	**1985**	**1990**	**1995**	**2000**
მსოფლიო	შემავალი	6.0	7.80	9.20	10.00	20.00
	გამავალი	5.40	6.20	8.40	9.90	19.60
განვითარებული ქვეყნები	შემავალი	4.80	6.20	8.10	8.90	19.60
	გამავალი	6.20	7.20	9.60	11.30	22.10
განვითარებადი ქვეყნები	შემავალი	10.20	13.90	13.00	15.30	30.90
	გამავალი	1.30	1.70	2.80	5.10	11.90

წყარო: https://unctad.org/en/docs/wir2002_en.pd

XX საუკუნის 90 -იანი წლებიდან განვითარებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა განპირობებულია იქიდან, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები მათ საკმაოდ მომგებიან ქვეყნებად განიხილავენ უცხოური ინვესტიციებისთვის. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლითაც ხელი ეწყობა ადგილობრივი ეკონომიკის ზრდასა და განვითარების პერსპექტივას. ეს არის პირველ რიგში სამუშაო ადგილების შექმნა, ასევე სახელმწიფო შემოსავლების გაუმჯობესება და ა. შ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განვითარებად ქვეყნებში საწარმოები პროგრესულ და კონკურენტულ გარემოში საქმიანობენ, სადაც არსებულ გამოწვევებთან დაპირისპირება უწევთ, ეს ყველაფერი იქიდან გამომდინარეობს, რომ მათ უწევთ სწრაფი

ტექნოლოგიური ცვლილებების ათვისება და უმოკლეს დროში მათი ათვისება, რაც ეხმარებათ უფრო სწრაფ და ხარისხიან მუშაობაში, იმისათვის რომ ისინი იყვნენ კონკურენტ უნარიანები არა მარტო შიდა, არამედ გარე ბაზრებზეც.

უცხოური ინვესტიციები მასპინძელი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ეფექტიან ინტეგრაციას უწყობს ხელს ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია მიმღებ ქვეყნებში მათი განმსაზღვრელი ფაქტორების გაანალიზება. მათ განმსაზღვრელ დეტერმინანტებს ორ ჯგუფად ყოფენ: მიწოდებისა და მოთხოვნის ფაქტორები. ხოლო მოთხოვნის დეტერმინანტები კლასიფიცირდება შემდეგ სამ კატეგორიად: უცხოური ინვესტიციების საერთო პოლიტიკის სტრუქტურა; ბიზნესის ხელშეწყობა და ეკონომიკური დეტერმინანტები.

ღია სავაჭრო პოლიტიკის განმახორციელებელი ქვეყნები, არიან ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ლიბერალური სავაჭრო რეჟიმები, ასევე არიან კონკურენტუნარიანები მსოფლიო ბაზარზე და აქვთ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობები. ეს ყველაფერი უზრუნველყოფ ქვეყანაში დადებითი გარემოს შექმნას უცხოელი ინვესტორებისთვის. მათი მიზანი ინვესტიციების ისეთ ქვეყნებში დაბანდებაა, სადაც კარგადაა ჩამოყალიბებული საგარეო ურთიერთობები. ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები წარმოების ნაწილის ან მთლიანად წარმოების პროცესის გადატანას დაბალი დანახარჯების მქონე ქვეყნებში უზრუნველყოფს. [21]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2019 წლის პირველი 6 თვის მანძილზე 54%-ით შემცირდა. მედიასაშუალებების ნაწილმა საკმაოდ მკვეთრი სათაურებით გამოაქვეყნა ეს მოვლენა. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი შემცირება არ ნიშნავს საქართველოს ეკონომიკის დაღმაზე წასვლას. საქართველოში საინვესტიციო მიმზიდველობა მნიშვნელოვანწილად გაიზარდა მთელი რიგი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების შედეგად,

[21] ი. მანველიძე. „ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში“. თბილისი 2009წ. გვ.36-39.

რომლებიც 2003 წლის ვარდების რევოლუციას მოყვა. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისმა გააუმჯობესა ბიზნესის წარმართვის პირობები საგადასახადო რეფორმების, დერეგულირების, პრივატიზაციის და სახელმწიფო სექტორის რეფორმების გატარების ხარჯზე, რამაც თავის მხრივ განაპირობა უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა. 2000 წლიდან 2004 წლამდე უცხოური ინვესტიციები რაოდენობა საშუალოდ წარმოადგენდა 250 მლნ. აშშ დოლარს, 2006 წელს ეს ნიშნული მკვეთრად გაიზარდა და მიაღწია 1,2 მლრდ. აშშ დოლარს. 2006 წლიდან 2018 წლამდე პუი საშუალოდ შეადგენდა 1,3 მლრდ. აშშ დოლარს წელიწადში.

დიაგრამა. 1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები მოქმედებს:

- ✓ დსთ-ს ქვეყნებსა და თურქეთთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი;
- ✓ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“;
- ✓ ამერიკის შეერთებულ შტატებთა, იაპონიასთან, ნორვეგიასთან, კანადასთან და შვეიცარიასთან პრეფერენციების განზოგადებული სისტემა;
- ✓ ევროკავშირის 33 ქვეყანასთან ორმაგი დაბეგრვის თავიდან აცილების ხელშეკრულება, 32 ქვეყანასთან კი ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების ხელშეკრულება (2005 წლიდან).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წილი ბოლო ათ წლის განმავლობაში მოდის აზერბაიჯანზე. ეს არის ინვესტიციები მილსადენ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც გათვლილია აზერბაიჯანის ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტისთვის დასავლეთ ქვეყნებში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო უცხოური ინვესტორებისთვის არამიმზიდველი გახდა. ასეთი სახის ვარდნა ნაწილობრივ გამოწვეულია ტრანს-ანატოლიური მილსადენის (TANAP) მშენებლობის დასრულებასთან, სამხრეთ კავკასიაში გაზსადენის გაფართოების სამუშაოს დასრულებასთან და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შეწყვეტით საზღვარგარეთიდან, ისეთების როგორიც არის მაგალითად, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მონაცემებით 2010 წლის შუა პერიოდში TANAP-ას პროექტმა ქვეყანას მოუტანა 2 მლრდ. აშშ დოლარის შემოსავალი. მიუხედავად შიდა პოლიტიკური დაძაბულობისა, რომელიც სუფევს რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით, საქართველო ეკონომიკური წინსვლა ბოლო წლების მანძილზე საკმაოდ შთამბეჭდავია და საგრძნობლად აღემატება მეზობელი ქვეყნების მიღწევებს.

დიაგრამა. 2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბოლო წლებში გაუმჯობესდა, როგორც შიდა ისე საგარეო სალდო (ბიუჯეტი და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი), ამიტომ პუს-ს დაქვეითება არ უნდა იწვევდეს შეშფოთებას. უცხოური ინვესტიციები ეხმარებიან ქვეყანას გაუმკლავდნენ შიდა დაფინანსების დეფიციტს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცამების მიხედვით, რომლებიც გამოყვექნებული იყო 9 ივნის, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2020 წლის პირველი კვარტალის მიხედვით შეადგენდა 165,4 მლნ. აშშ. დოლარს, რაც 41,7%-ით ნაკლებია წინა წლის შესამაბის პერიოდთან შედარებით. როგორც აცხადებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო- „შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში“

2020 წლის პირველ კვარტალში საქართველომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი მოცულობა მოიზიდა დიდი ბრიტანეთიდან-73,1 მლნ. აშშ დოლარი. მას მოყვება ამერიკის შეერთებული შტატები- 28,1 მლნ. აშშ დოლარი, პანამა-

19,6 აშშ დოლარი, დანია-11,6 მლნ. აშშ დოლარი, ნიდერლანდები-11,2 მლნ. აშშ დოლარი, თურქეთი-11,1 მლნ. აშშ დოლარი და რუსეთი-10,8 მლნ. აშშ დოლარი.

საქართველომ ფოკუსირება უნდა მოახდინოს და მნიშვნელოვნად გამახვილდეს ყურადღება, ისეთ ძირითად პრინციპებზე, რომელიც მიმზიდველი იქნება ინვესტორებისთვის, კერძოდ სასურველ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე სოლიალურ ფონზეც და ა.შ.

ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოს ფორმირების პროცესში საკმაოდ ბევრი პრობლემა იჩენს თავს. შესაბამისად აუცილებელია, რომ სახელმწიფო ისეთი სამართლებრივი გარემო შექმნას, სადაც ხელი შეეწყობა საბაზრო მექანიზმების ეფექტიან ფორმირებას და ასევე უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის თანაბარ შესაძლებლობას. [22]

3.2. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის დინამიკა და მიმართულებები

საგარეო სავაჭრო სისტემის რეფორმა მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაში. სავაჭრო კავშირის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს. პირველი დამოკიდებულია პოლიტიკაზე და გარდამავალ ქვეყნებში არსებულ ინსტიტუტებზე. მეორე კი მსოფლიოში ღიაობის გაზრდა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს კურსზე. ეკონომიკური ზრდა ხაზს უსვამს სავაჭრო პოლიტიკის რეფორმირების მნიშვნელობას. მეორე კი ხაზს უსვამს სავაჭრო პოლიტიკის

[22] D. Narmania. Sh. Murgulia. M. Nanitashvili. O. Zedelashvili. G. Khutsishvili. „European Neighbour Policy and Georgia, Centre for Strategic Research and Development“. Bulletin N102. 2007. pp.7-11.

რეფორმირების მნიშვნელობას, რადგან თუ ეს რეფორმა წარმატებული იქნება ეს ცხოვრების სტანდარტებს გააუმჯობესებს და სიღარიბეს შეამსუბუქებს.

საერთაშორისო ვაჭრობას ახასიათებს უჩვეულო და მუდმივი სისუსტე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ვაჭრობის შემცირება 2012-2014 წლებში მისი ვარდნა 2015 წელს ყველა საქონლის ტიპს ეხებოდა. განვითარებად ქვეყნებს შორის ვაჭრობის შენელებამ ყველა რეგიონში ნეგატიურად იმოქმედა, მათ შორის აზიასა და აფრიკაშიც.

საერთაშორისო ვაჭრობის სისუსტე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალური ეკონომიკის ქვეყნებზეც.

სავაჭრო რეჟიმის წარმატება, რთულია, როგორც ტექნიკური მიზეზების გამო, ასევე ყველა ქვეყანაში ამ სექტორში ძლიერი პოლიტიკური ზეწოლის გამო. ძირითად ტექნიკური სისტემის სირთულეები სავაჭრო სისტემის რეფორმირების პროცესში, წარმოიქმნება მათი შექმნის აუცილებლობისგან, შიდა ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმების პარალელურად. [23]

განვითარებად ქვეყნებს ძალზე დიდი ინტერესი აქვთ გლობალური ეკონომიკური დებატემის შედეგების მისაღწევად. „გარეგანი ორიენტაცია“ პრაქტიკულად ყველა წარმატებული განვითარების სტრატეგიის ცენტრალურ ასპექტად იქცა. ვაჭრობა გაიზარდა ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე მსოფლიო წარმოება ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

„გარეგნული ორიენტაცია“ თავისთავად არ არის საკმარისი პირობა განვითარების წარატების უზრუნველსაყოფად. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეროვნული ინვესტიციების მაღალი მაჩვენებლები მაკროეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობისთვის. ეს თავის მხრივ ნიშნავს, რომ ღია საერთაშორისო სავაჭრო სისტემას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს. „გარეგანი ორიენტაცია“ ცალკეულ განვითარებად ქვეყნებში ვერასოდეს მიაღწევდა წარმატებას მთელს მსოფლიოში შედარებით ღია ბაზრების არარსებობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, სისტემური

[23] „Gains from International Traid: Static and Dinamic/ Economics“ p 1. https://www.economicsdiscussion.net/international-trade/gains-from-international-trade-static-and-dynamic-economics/30228 (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

გახსნილობა ასევე წარმოადგენს განვითარების ნებისმიერი ეფექტური გლობალური მიდგომის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

კლასიკური დაგეგმილი ეკონომიკის სავაჭრო რეჟიმის პირობებში, ვაჭრობა ხდება თითოეულ პროდუქტზე მონოპოლიზებულად საგარეო სავაჭრო კორპორაციის მიერ. პოლიტიკის ზომები, როგორიცაა ტარიფები, კვოტები, ლიცენზიები და გაცვლითი კურსი, შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებს, რადგან ექსპორტის დონე და შემადგენლობა დაგეგმვის სისტემის საშუალებით ხდება. ასეთი სისტემის რეფორმირები უფრო მეტ ბაზარზე ორიენტირებული სავაჭრო სისტემისთვის საჭორია მთელი რიგი გადადგმული ნაბიჯები როგორებიცაა:

- ✓ კონკურენტ ტრეიდერებთან სავაჭრო სისტემის გახსნა;
- ✓ არაპირდაპირი პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება, როგორიცაა ტარიფები და კვოტები, ასევე გადაადგილება თანდათანობით ფასებზე დაფუძნებული ზომებისკენ;
- ✓ გაცვლითი კურსის დამახინჯების მოხსნა;
- ✓ ღონისძიებების შესაძლო შემოღება გაგრძელების გავლენის შესამცირებლად.

როდესაც საგარეო ვაჭრობის შედეგად ქვეყანა ქვედა ინდიფერენტულობის მრუდიდან მაღალზე გადადის, ეს გულისხმობს, რომ ხალხის კეთილდღეობა გაიზარდა. სხვადასხვა ქვეყნის მიერ სხვადასხვა საქონლის წარმოებაში სპეციალიზაცია, მათი შედარებითი ეფექტურობისა და რესურსების გადანაწილების შესაბამისად, იწვევს მსოფლიო პროდუქციის მთლიანი წარმოების ზრდას მათი პროდუქტიულობის დონის ამაღლებით.

ამასთან, სპეციალიზაციისა და ვაჭრობიდან ამ მიღებებმა, რომელიც შესაძლებელი გახდა მოცემული რესურსების გადანაწილებით მოცემული შესაძლებლობის მრუდეზე, ერთჯერადი მოვლენაა და ასეთ ვაჭრობას სტატიკურ სარგებელს უწოდებენ. ემპირიული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ასეთი მოგება საკმაოდ მცირეა.

ვაჭრობიდან ეს დინამიური სარგებელი ეხება ვაჭრობით მიღებულ სარგებელს, რომელიც დროთა განმავლობაში მიეწერება ქვეყნებს, რადგან ვაჭრობა იწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და იწვევს ეფექტურობის ზრდას ქვეყნის მიერ რესურსების გამოყენებაში. ეს არის ვაჭრობა, რომელიც შესაძლებელს ხდის შრომის დანაწილებას და სპეციალიზაციას, რომელზეც ემყარება სხვადასხვა ქვეყნის უფრო მაღალი პროდუქტიულობა.

საქართველომ უზარმაზარი გაჭირვება განიცადა 90-იანი წლების დასაწყისში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. კავშირი 1991 წელს და შემდე სამოქალაქო ომი. ეკონომიკა 65 პროცენტით შემცირდა სამი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ სტაბილურობის მოდელი ჩამოყალიბდა, ქვეყანა კვლავ სუსტი იყო.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ გაიზარდა. წლიური განაკვეთი 4.5 პროცენტით. ეს იყო უამრავი შოკისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე.

საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დგას, როგორც შიდა ისე გარე არეალში. მისი მოსახლეობა სწრაფად მცირდება დაბალი ნაყოფიერებისა და დიდი ემიგრაციის ფონზე.

ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა ხასიათდება საგარეო ვაჭრობის გამარტივებული რეჟიმებითა და საბაჟო პროცედურებით, ასევე მინიმალური არასატარიფო რეგულირებითა და დაბალი საიმპორტო ტარიფებით. [24]

- ✓ იმპორტის დაბალი გადასახადები- დაწესებულია მხოლოდ ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და ასევე სამშენებლო მასალებზე;
- ✓ რაოდენობრივი შეზღუდვების არარსებობა- ქვეყანას არ აქვს რაოდენობრივი შეზღუდვები;

[24] Z. W. Puslecki. „Current Trends in Foreign Trade Theory and Policy“ . Adam Mickiewicz University. January 2018. pp. 55-59.

- ✓ თანაბარი დაბეგრვის პრინციპი- იმპორტული და ადგილობრივი პროდუქცია იბეგრება სათანადო სააქციზო გადასახადებით და დამატებითი ღირებულების გადასახადით.
- ✓ იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზიები- ლიცენზია ჭირდება მხოლოდ იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების, ასევე რადიოაქტიური და ქიმიური ნივთიერებების, სამრეწველო ნარჩენების, სამკურნალო საშუალებებისა და ქიმიური პრეპარატების გარკვეულ სახეობებს. 2005 წლიდან საიმპორტო და საექსპორტო პროდუქციით ვაჭრობასთან დაკავშირებით თოთხმეტი ძირითად ჯგუფიდან 8 ჯფუფი დარჩა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლდა.

საქართველოში, 2019 წლის იანვარ- მარტში საქონლით საგარეო სავაჭო ბრუნვამ 2 807.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა რაც წინა წელთან შედარებით 0.1 პროცენტით ნაკლებია. საქართველოს უარყოფითმა ბალანსმა, 2019 წლის იანვარ-მარტში, 1 155.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 41.2 პროცენტია.

დიაგრამა 3.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge

საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო მეურნეობაში უფრო და უფრო მეტად ერთვება. თუ სავაჭრო ბალანსის სალდოს მივაქცევთ ყურადღებას, დავინახავთ, რომ საგარეო ბაზრებზე ძალიან ვართ დამოკიდებულები, მათ შორის მეზობელ ქვეყნებზეც. ქართველ მომხმარებელთა მოთხოვნები იმპორტის გზით ჯერჯერობით საკმარისია. სიტუაციის გასაუმჯობესებლად საჭიროა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც ქართულ ეკონომიკას ზრდის ტენდენციას განუვითარებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბევრ ქვეყანასთან გააფორმა ხელშეკრულებები, მაინც უნდა ვისწრაფოდეთ გამუდმებით მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევსდ. სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნისთვის, რამაც საგარეო ვაჭრობა სულ სხვა საფეხურზე გადაიყვანა, შემდეგი ეტაპი რამაც უფრო ხელმისაწვდომი გახადა ევროკავშირის ბაზარი ეს იყო ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების გაფორმება ამ ორგანიზაციასთან.

საქართველო ცდილობს ისეთი პოლიტიკა გაატაროს, რომელიც ბიზნესს განავითარებს და ბიზნესს ჩართავს ქვეყნის წინვლაში, თუმცა ქართულ ბიზნესს ჯერ არ აქვს დაგროვებული დიდი გამოცდილება, რომ ხარისხზე ორიენტირებულ ბაზარს მარტივად მოერგოს. მიუხედავად ამისა ქვეყანა ცდილობს შექმნას ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური ფონი, რომ ქვეყანაში დივერსიფიცირებული პროდუქცია იწარმოებოდეს.

ქვეყნის მთავარი მიზანი ტრანსპორტირებისა და ლოფისტიკის სფეროებში საქართველოს ლიდერად გადაქცევაა რეგიონში. ეს როგორც მოძრაობის ინტენსივობა, ასევე ტვირთბრუნვას გაზრდის და ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

მრეწველობის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის კუთხით ჩატარებული ღონისძიებები და ფერმერული და აგრარული პროდუქტის კონკურენტუნარიანობაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ამ კუთხით ჩატარებული სამუშაოები საშუალებას მისცემს ქვეყანას

გადადგას გარკვეული ნაბიჯები ეკონომიკის ზრდისთვის და ამ პოლიტიკის შედეგან საქართველოს ექნება საშუალება საერთაშორისო ბაზარზე გაიტანოს უფრო მეტი ადგილობრივი პროდუქტი, ვიდრე ეს დღეს ხდება. [25]

[25] თ. მიქაბერიძე. „საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების ტენდენციები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში“. დისერტაცია. თბილისი 2016. გვ. 64-69.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესრულებული კვლევის შედეგები დასვნის სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- ✓ ტრანსნაციონალური კომპანია არის სამეწარმეო ფირმა, რომელიც თავის იურისდიქციას ახორციელებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა სახელმწიფოებში. ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი პროცესების მამოძრავებელ ძალას, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების კონკურენუნარიანობას განსაზღვრავენ. ასევე ავითარებენ ტექნოლოგიურ საქმიანობას. მათი საქმიანობის ხვედრითი წილი რეალიზაციის საერთო მოცულობაში 50 პროცენტს საკმაოდ აღემატება.

ტნკ-ები მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტები გახდნენ. ისინი განსხვავდებიან ეროვნებათაშორისი კორპორაციებისგან, რომლებიც იქმნება სხვდასხვა ეროვნული წარმოშობის კაპიტალის შერწყმის შედეგად. კორპორაციების დამახასიათებელი ნიშანი კი მათი სამრეწველო მიმართულებაა.

- ✓ ტნკ-ების კორპორაციების სტრატეგიები უმეტესად გლობალურ მიდგომებს ემყარება, რომლებიც სრული გაერთიანების ოპტიმატიზაციას ითვალისწინებს. ერთიანი სტრატეგია საერთაშორისო მართვის დეცენტრალიზაციაში გამოიხატება. მათ მართვის ბაზირების ქვეყნები გააჩნიათ, საიდანაც ხდება სხვადასხვა მითითებების გაგზავნა შვილობილ კომპანიებში. ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგია ასევე გამოიხატება იმაში, რომ ქვეყანას შესთავაზონ თავიანთი ხედვა, თუ როგორ უნდა გაიყიდოს პროდუქცია, რათა ადგილობრივი კულტურის შესაბამისი იყოს ის.
- ✓ გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის ქვეყნებში ტრანსფორმაციული პროცესი ჯერ არ დასრულებულა, რადგან შერეული ტიპის საბაზრო სისტემაში ეს საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელშიც ეკონომიკური სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნა მოიაზრება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა კი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული რეფორმების მოდელი აიღეს.

დღესდღეისობით ეკონომიკური რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები ყველა ქვეყნისთვის სხვადასხვაა. მაგალითად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (რუმინეთი, ბულგარეთი) სიტუაცია შედარებით მძიმეა, ხოლო ცენტრალურ ევროპაში (ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვენია) შედარებით უფრო წარმატებულად ითვლება.

- ✓ ბალტიისპირეთის ქვეყნების წინსვლა საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით, განპირობებულია რიგი ფაქტორებით: საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების არსებობით, ეკონომიკური და ისტორიული კავშირებით დასავლეთ ევროპასთან, ეროვნული მეურნეობის შედარებით დაბალანსებული სტრუქტურით, საზოგადოების ყველა ფენაში კონსენსუსის მიღწევით სავაჭრო სისტემაზე გადასვლის საკითხთან დაკავშირებით. რეფორმების დაწყება ამ ქვეყნებში, კერძოდ ლიეტუაში, ლატვიასა და ესტონეთში მნიშვნელოვან ფაქტად იქცა, რომელსაც საზოგადოება უწევდა კონსოლიდირებას. ბალტიის მოასხლეობის უნარ-ჩვევები სამეწარმეო კუთხით და დასავლეთ ქვეყნების დახმარება ასევე ხელს უწყობდა კრიზისის სწრაფ გადალახვაში, რომელიც დაკავშირებული იყო სამეურნეო კავშირების დაშლასთან სსრკ-ს ე.წ ერთიანი ეროვნული სამეურნეო კომპლექსის ფარგლებთან.

როგორც 20-იანებში ასევე 90-იანებში ლეტუას, ლატვიის და ესტონეთის მთავრობას არ ქონია რეალური აღქმა ფასის მათ მიერ გაყიდული და განადგურებული ქონებისა. ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს დასჭირდათ დამოუკიდებლობის დაახლოებით პირველი ათი წელიწადი იმისთვის რომ სახელმწიფო ქონება რეალურად ყოფილიყო აღქმული.

- ✓ უცხოური ინვესტიციები არის საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ითვლება გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალად. თანამედროვე ეტაპზე უცხოური ინვესტიციების როლი საკმაოდ გაიზარდა მსოფლიო ეკონომიკაში. განვითარებად ქვეყნებში მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან ინვესტიციების მკვეთრი

ზრდა იქიდანაა განპირობებული, რომ ტნკ-ები მათ მომგებიან და ხელსაყრელ ქვეყნებად მიიჩნევენ ინვესტიციებისთვის. ამავე ქვეყნებში საწარმოები საკმაოდ კონკურენტულ და პროგრესულ გარემოში საქმიანობენ, სადაც ბევრი გამოწვევა ხვდებათ. ისინი იძულებულნი არიან სწრაფად აითვისონ ტექნოლოგიური ცვლილებები, რაც დაეხმარებათ ხარისხიან საქმნიანობაში კონკურენტუნარიანობისთვის როგორც შიდა ისე გარე ბაზრებზეც.

უცხოურმა ბიზნესმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს საკომუნიკაციო და სავაჭრო ქსელების სექტორის განვითარებაში. ასევე საბანკო და საფინანსო სექტორშიც. საკმაოდ დიდი როლი აქვთ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ინვესტიციების სახით ფარმაცევტული და კვების დარგების განვითარებასა და გაზრდაში.

2020 წლის დასაწყისში საქართველომ მოიზიდა საკმაოდ დიდი მოცულობა უცხოური ინვესტიციებისა, როგორც დიდი ბრიტანეთიდან (73.1 მილიონი დოლარი), ასევე ამერიკის შეერთებული შტატებიდან (28.1 მილიონი დოლარი), პანამა (19.6 მილიონი დოლარი), დანია (11.6 მილიონი დოლარი), ნიდერლანდები (11.2 მილიონი დოლარი), თურქეთი (11.1 მილიონი დოლარი), რუსეთი (10.8 მილიონი დოლარი). ქვეყნის ბიზნეს გარემოს ფორმირების დროს ბევრ პრობლემას ვხვდებით, ამიტომ ქვეყანა უნდა ფოკუსირდეს იმ ძირითად პრინციპებზე, რომლებიც მისაღები იქნება ინვესტორებისთვის და დადებითად აისახება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

✓ საგარეო ვაჭრობის სისტემაში რეფორმები მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რადგან ამ პროცედურების გამართული მუშაობა მნიშვნელოვნად ეხმარება ქვეყანას კარგი ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და მუშაობაში. სავაჭრო სისტემის გამართულობა პირველი დამოკიდებულია პოლიტიკაზე და გარდამავალ ქვეყნებში არსებულ ინსტიტუტებზე, ხოლო მეორე მსოფლიოში ღიაობის გაზრდაზე, რომელიც კურსზე ახდენს დიდ გავლენას.

სავაჭრო რეჟიმის წარმატება საკმაოდ რთულია, როგორც ტექნიკური მიზეზებით ასევე ამ სექტორში პოლიტიკური ზეწოლის მაღალი მაჩვენებლის გამოც. მას გააჩნია ტექნიკური სისტემის სირთულეებიც, რომლებიც წარმოიქმნება მათი შექმნის აუცილებლობისგან და მიმდინარეობს შიდა ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმების პარარელურად.

- ✓ ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას და საქმიანობის განხორციელებას დადებითი ეფექტი გააჩნია. ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენენ საქართველოში არსებული კომპანიები, კერძოდ: „Coca Cola Bottlers Georgia“ „McDonald's Georgia“ და „Toyota Caucasus LLC".
- ✓ The Coca-Cola Company-კომპანიის ისტორია 1986 წელს ქიმიკოსის და ფარმაცევტის ჯონ პემბერტონის მიერ მომზადებული ტკბილი სიროფით იწყება. კომპანიის დასახელაბა და ცნობილი შრიფტი ქიმიკოსის ბუღალტრით არის შექმნილი. თუმცა 1988 წლისთვის ჯონ პემბერტონმა კომპანიის წილი სრულად გაყიდა. კომპანიის მფლობელი გახდა კიდევ ერთი ფარმაცევტი ასა გენდლერი. კოკა-კოლა ბოთლში ჩამოასხეს პირველად 1894 წელს. დღეს-დღეობით გაიზარდა წარმოებული პროდუქციის ფართო ასორტიმენტი, კომპანიას ეკუთვნის 15 უალკოჰოლო ბრენდი. აღსანიშნავია, რომ დღეს მსოფლიო მასშტაბით კოკა-კოლა 200-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება, გამონაკლის არც საქართველო წარმოადგენს.

„Coca Cola Bottlers Georgia“ - კომპანია Coca-Colas-ს ისტორია საქართველოში იწყება 1993 წელს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ პრეზიდენტი ბ-ნი თემურ ჭყონია იხსენებს, რომ თავდაპირველად სანამ კოკა-კოლას საქართველოში დაფუძნების იდეა წამოვიდოდა, მანამდე ერთ-ერთი ლიმონათის ქარხნის დირექტორი იყო. თანამედროვე პირობებიდან და ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე თემურ ჭყონიამ დაიწყო ფიქრი რაღაც ახალზე, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ტარხუნას და მსხალს არანაირი მომავალი არ ქონდა. ასე დაიბადა ბრენდის საქართველოში ჩამოტანის იდეაც. ჭყონია იხსენებს, რომ საკმაოდ დიდი და რთული გზა განვლო იმისათვის, რომ დღეს შპს „კოკა-კოლა

ბოთლერს ჯორჯია“ სრულფასოვანი კომპანია გამხდარიყო. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას ბრედის საქართველოში შემოტანის პერიოდში წარმოადგენდა 90-იანების რთული პერიოდი და თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემები არ ქონა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო რაიმეს წამოწყება. მიუხედავად არსებული პრობლემისა მან შეძლო საკომუნიკაციო გზების გამონახვა კოკა-კოლას მაშინდელ პრეზიდენტთან დონალდ კიუსთან, კონკრეტული შემოთავაზების წარსადგენად, რითაც გამოიწვია ინტერესი. შემდგომ ამ შემოთავაზებას მოჰყვა ჯგუფის გამოგზავნა, რომელმაც შეისწავლა ადგილობრივი ბაზარი, დაასაქმეს ადგილობრივი მოსახლეობა, ჩაატარეს ტრენინგები და ნაბიჯ-ნაბიჯს მიყვებოდნენ ყველა იმ პირობის შესრულებას, რასაც „კოკა-კოლა“ ლიცენზიის გასაცემად ითხოვდა. დღეს კომპანია სწრაფი ტენპებით ვითარდება, ფართოვდება და ქვეყანაში უალკოჰოლო სასმელების ნომერ ერთ ბრენდს წარმოადგენს, რომელსაც პრაქტიკულად ვერც ერთი უალკოჰოლო სასმელი უწევს კონკურენციას. აღსანიშნავია ასევე ციფრები, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია ყველა ბიზნესმენისთვის, ასე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯოჯიას“ საქართველოს ბიუჯეტში შეტანილი აქვს 1993 წლიდან 174 668 000 ლარი. 2013 წელს საქართველოს ბიუჯეტში შეტანილი თანხა აღემატებოდა 48 მლნ. ლარს. 2018 წლის მონაცემებით 2017 წელთან შედარებით, კომპანიის შემოსავალი გაიზარდა 13,3%-ით რაც 150 185 000 ლარს შეადგენს. აუცილებლად აღსანიშნავია თუ რა სარგებლის მომტანია ამ კომპანიის საქმიანობა ადგილობრივ ბაზარზე. უპირველესად, როგორც ზემოთ აღვიშნე კომპანიას საკმაოდ დიდი თანხა შეაქვს საქართველოს ბიუჯეტში, მეორე რაც მეტად მნიშვნელოვანია, კომპანიის დასაქმებულთა 98% ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს, ანუ კომპანია ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანია ძირითადად ქართული ბანკებით სარგებლობს, როგორ დგინდება კომპანიას მოზიდული აქვს 88 მლნ. ლარის სესხი თიბისი ბანკისგან და საქართველოს ბანკისგან აქვს 2 მლნ. ლარის ოდენობის სესხი. დღეს შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორგია“ Coca-Cola Company-სგან მიღებული ლიცენზიის საფუძველზე აწარმოებს მრავალს პროდუქციას, ისეთებს როგორიცაა: Fanta, Fanta Tropic, Sprite,

Bonaqua, Burn, Fuse Tea, Coca-Cola Zero, Coca-Cola Without Sugar და ტრადიციულ Coca-Cola-ას. ასევე კომპანიას აქვს უფლება წარმოებული პროდუქცია გაყიდოს აზერბაიჯანისა და სომხეთის ბაზარზე.

- ✓ კომპანია „Mcdonald's" წარმოადგენს სწრაფი კვების ობიექტს. კომპანია მოქმედებს 119 ქვეყანაში. კომპანიის ისტორია იწყება 1940-იანების ბოლოს, როდესაც ძმებმა რიჩარდმა და მორისმა დაარსეს გზისპირა სწრაფი კვების ობიექტი. კომპანიის მომდევნო განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი რეი კროკს, რომელსაც ქონდა გახსნილი ბარის ინვენტარის კომპანია. კროკის ისტორია მაკდონალდში იწყება მაშინ, როდესაც ძმებმა მისგან 10 მიქსერის შეძენა გადაწყვიტეს. დაინტერესებულმა კროკმა გადაწყვიტა ჩასულიყო სან-ბერნარდინოში, ჩასვლისას მას დახვდა უზარმაზარი რიგირ მაკდონალდის შენობასთან. თავდაპირველად მან გადაწყვიტა ძმების ფრანჩაიზინგის ექსკლუზიური აგენტი გამხდარიყო. 1955 წელს კროკმა დააფუძნა კომპანია "McDonald's Systems Inc", რომელსაც 5 წელიწადში გადაარქვეს და მას ეწოდა "McDonald's Corporation". კომპანია დღითი დღე სულ უფრო ვითარდება დღეს კომპანია ფლობს დაახლოებით 31 ათასი რესტორანს მსოფლიო მასშტაბით, რა თქმა უნდა გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა.

საქართველოში Mcdonald's-ის ისტორია იწყება 1999 წლიდან და თანდათანობით სულ უფრო ვითარდება და ფართოვდება. „მაკდონალდს საქართველოს" დღეს უკვე 16 რესტორანი გააჩნია და მას 900-ზე მეტი ადამიანი ყავს დასაქმებული, თუმცა ეს არ ნიშნავს შეჩერებას, კომპანია გეგმავს კიდევ 7 ახალია ფილიალის გახსნას, რაც თავის მხრივ გულისხმობს დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდას. 2017 წლის მონაცემებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კომპანიის გახსნის დღიდან საქართველოს ბიუჯეტში 67 106 418 ლარი აქვს შეტანილი. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ მაკდონალდსის ლოჯისტიკური ჰაბი საქართველოში პირველია, როდესაც მმართველი კომპანია იღებს პასუხისმგებლობას მომარაგებაზეც. კომპანია გეგმავს ადგილობრივი პროდუქციის სტიმულირებას, აქ იგულისხმება ის, რომ კომანია გეგმავს ადგილობრივ პურის ქარხანასთან თანამშრომლობას, რაც გულისხმობს მაკდონალდსის კომპანიისგან

მიიღოს სერტიფიცირება, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს მოამარაგოს თავის ობიექტები ადგილობრივი წარმოების პურით.

- ✓ Toyota Motor Corporation იაპონური საავტომობილო კომპანია იყო ორგანიზებული 1935 წელს, როგორც Toyoda Automatic Loom Works-ის ცალკეული ქარხანა, რომელიც დაკავებული იყო ტექსტილის დანადგარებით. კომპანიის დირექტორის უფროსი ვაჟმა კიიჩირო ტოიდამ გადაწყვიტა საავტომობილო წარმოებისთვის მოეკიდა ხელი, რომელიც ამერიკული მანქანებით იყო შთაგონებული. 1936 წელს იყო გამოშვებული პირველი სამგზავრო ავტომობილი Model A1 შემდგომში AA. დღეს ტოიტოტა არის ერთ-ერთი მსხვილი საავტომობილო მწარმოებელი, მსოფლიო მასშტაბით დასაქმებულთა რაოდენობა 35 000 ადამიანს აღემატება.

„Toyota Caucasus LLC"- კავკასიის რეგიონში ტოიოტას ოფიციალური დისტრიბუტორი წარმოადგენს იაპონური ავტომწარმოებლის „ტოიტოტას" შვილობილ კომპანიას, რომელიც კავკასიის რეგიონში, საქართველოში დაფუძნებული ბიზნესჯგუფით საქმიანობს. კომპანიის ისტორია საქართველოში იწყება 2006 წლიდან. „Toyota Caucasus LLC" გახლავთ იაპონიიდან „ლექსუსის" და „ტოიტოტას" მარკის როგორც ავტომობილების ასევე საავტომობილო ნაწილების იმპორტიორი. 2017 წელს კომპანიის შემოსავალი შეადგენს 389,141,370.93 ლარს. კომპანიამ 2017 წლის მონაცემებით დაახლოებით 14,6 მლნ. აშშ დოლარის სომხეთში და 63,7 მლნ. აშშ დოლარის აზებაიჯანში, ხოლო საქართველოში 60,7 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია გაყიდა. დასაქმებულთა 97% ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს.

მოგეხსენებათ ტრანსნაციონალური კორპორაციების წილი ქართულ ბაზარზე და ეკონომიკაში, საკმაოდ დიდია, აღნიშნული კომპანიები სარგებლობენ საკმაოდ დიდი ავტორიტეტით და ორგანიზებულობით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კომპანიების მმართველებს ეფექტურ მართვაში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გააჩნია სუსტი ეკონომიკური პირობები/მდგომარეობა კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ისევე, როგორც ტნკ-ს საქმიანობას ქვეყანაში. მიუხედავათ იმისა, რომ ხშირად

საქართველოს მოიაზრებენ, როგორც რეგიონში ყველაზე განვითარებულ ქვეყნად, ქვეყანაში უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია, ასეთი სახის კომპანიების შემოსვლა კი ხელს შეუწყობს ამ პრობლემის დაძლევაში, რადგან ადგილობრივ ბაზარზე აშენდება მრავალი საწარმო, რაც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივების დასაქმებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. „ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი გლობალიზაციის პროცესში“. ჟ. „ეკონომიკა“ თბილისი 2004 წ.
2. გეფერიძე დ. ხაზალია ა. „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი და ტრანსნაციონალური კორპორაციები“. „ბონა კაუზა“ . თბილისი 2014.
3. გრეჰემი ე. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა. ეკონომიკური რეფორმები დღეს“. N1. თბილისი1999.
4. მანველიძე ი. „ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში“. თბილისი 2009 წ.
5. თ. მიქაბერიძე. „საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების ტენდენციები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში“. დისერტაცია. თბილისი 2016.
6. შაბურიშვილი შ. „ტრანსნაციონალური კომპანიები და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი“. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. კონფერენციის კრებული. თბილისი 2016 წ.
7. ჯამაგიძე ლ. „ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში“. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი 2008 წ.
8. Бурдули В. „Роль Процессов Глобализации В Абновлении Хозайства Страны С Переходной Экономикой (на примере Грузии“). Тбилиси. Грузия. г. 2007.
9. Сапир Ж. „Вашингтонский консенсус и российские реформы: история провала“ Междунар. журн. М. 2001 г. № 33.
10. Зайцева С. Ю. „Транснациональные корпораций как агенты глобализаций“. Санкт-Петербург. 2018г.
11. Ghemawat P. „Reconcepualizing International Strategy and Organization“. Srategic Organization. 2008.
12. Lane T. Pabriks A. Purs A. Smith D j. „The Baltic States: Estonia, Latvia and Lithuania“. Routledge. 2013. M11. Motohashi K. „Global Business Srategy“. Springer, Tokyo. 2015.
13. Narmania D. Murgulia Sh. Nanitashvili M. Zedelashvili O. Khutsishvili G. „European Neighbour Policy and Georgia, Centre for Strategic Research and Development“. Bulletin N102. 2007.
14. Puslecki Z. W. „Current Trends in Foreign Trade Theory and Policy“ . Adam Mickiewicz University. January 2018.
15. Stevens C. Kennan J. „Reform in Eastern Europe and the Developing Country Dimension“. Overseas Development Institute. London 1992.
16. Williams N. „Estonia, Latvia & Lithuania“. Lonely planet. English. june 1. 2006.

ინტერნეტ რესურსები

17. „ეკონომიკის მომავალი: ტრანსნაციონალური კორპორაციების ძლიერი და სუსტი მხარეები. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების მახასიათებლები“. https://sborkameb23.ru/ka/budushchee-ekonomiki-dostoinstva-i-nedostatki-transnacionalnyh.html (უკანაკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)

18. „ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე“. http://intermedia.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

19. „ტრანსნაციონალური კომპანიები და გლობალიზაცია“ http://mastsavlebeli.ge/?p=1331

20. „Types Of Interrnational Strategies“. https://opentextbc.ca/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

21. „Восточная Европа“. http://www.milogiya2007.ru/mireconom19.htm (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

22. Р. Гринберг. „Результаты экономических реформ в постсоциалистических странах“. http://personnel.uapa.ru/courses/Итоги_реформ_Вост_Европа.doc (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

23. „„Балтийские тигры“ или все же только „котики““. https://www.rosbalt.ru/world/2017/06/27/1625969.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)
24. „экономика эстонии охлаждается“ стр. 1. https://rus.err.ee/921529/jekonomika-jestonii-ohlazhdaetsja (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)
25. „World Investment Report 2005. Transnational Corporations and the Internationalizacion of R&D“. p.1. https://unctad.org/en/Docs/wir2005_en.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)
26. „Transnational Corporation and Human Rights“ http://journal.lawandworld.ge/index.php/lw/article/view/48 (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)
27. „Gains from International Traid: Static and Dinamic/ Economics“ p 1. https://www.economicsdiscussion.net/international-trade/gains-from-international-trade-static-and-dynamic-economics/30228 (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

28. „ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკაზე“. https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/499/The%20impact%20of%20transnational%20corporations%20on%20the%20economy%20of%20recipient%20countries.pdf?sequence=1&isAllowed=y (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)
29. „The Coca-Cola Company“. https://www.britannica.com/topic/The-Coca-Cola-Company (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.06.2020)
30. „Coca-Cola-ს შემოსავალი 150 მილიონ ლარამდე გაიზარდა”. https://bm.ge/ka/article/coca-cola-s-shemosavali-150-milion-laramde-gaizarda/42249 (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.06.2020)
31. „შეჩერდი, წამო, შენ მშვენიერი ხარ”. https://forbes.ge/news/246/temur-chkonia-profile (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.06.2020)
32. „მაკდონალდს საქართველო-20 წელი წარმატებულ საქმიანობაში“. https://www.entrepreneur.com/article/330434 (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.06.2020)
33. „რა მოგება მოაქვს McDonald’s-ის ქსელს საქართველოში“. https://commersant.ge/ge/post/ra-mogeba-moaqvs-mcdonalds-is-qsels-saqartveloshi (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.06.2020)
34. „მაკდონალდსის ისტორია საქართველოში“. http://www.mcdanketa.ge/# (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.06.2020)
35. „История автомобилей Toyota/Тойота“. https://avtomarket.ru/brandhistory/Toyota/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.06.2020)
36. „საქართველოს ყველაზე შემოსავლიანი კომპანიები“. https://forbes.ge/news/6323/saqarTvelos-yvelaze-Semosavliani-kompaniebi (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.06.2020)
37. „ტოიოტას შესახებ“. https://www.toyota.ge/world-of-toyota/about-toyota.json (უკანასკნელად გადამოწმებულია 25.06.2020)